ეროვნული ბიბლიოთეკა


# ახალგაზრდა ივერიელი

16 ივლისი სამშაბათი 1991 № 82 (11715)

გამოდის 1921 წლიდან

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი — ფასი 10 კაპ.





## 1991 წლის 10 ივლისი

ამ დღეს კურსი აიღო თბილისის უნივერსალურმა ბირჟამ. ჩვენს პუბლიკაციაში ნაცვლად თბილისის უნივერსალური ბირჟისა, მოხსენიებული იყო საქართველოს უნივერსალური ბირჟა. რედაქცია ბოდიშს იხდის შეცდომისათვის, თბილისის უნივერსალურ ბირჟას კი წარმატებას უსურვებს ამ მართლაც მნიშვნელოვან ეროვნულ საქმეში.

### საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტმა დანიშნა

**რევაზ გიორგის ძე სირაძე** თბილისის სულხან-საბა ორბელიანის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის რექტორად.

**ლავრენტი გრიგოლის ძე მანაგაძე** თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის რექტორად.

**გურამ ვალერიანის ძე რამიშვილი** თბილისის ილია ჭავჭავაძის სახელობის უცხო ენათა სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის რექტორად.

## საერთაშორისო ცხოვრება

ლონდონში გაიხსნა მსოფლიოს შვიდი წამყვანი ინდუსტრიული სახელმწიფოს, ანუ „დიდი შვიდეულის" ლიდერთა ორდღიანი შეხვედრა, რომელზეც უნდა განიხილონ საბჭოთა კავშირისათვის დახმარების გაწევის შესაძლო მასშტაბები. ოთხშაბათს, შეხვედრის დამთავრებისთანავე, მ. გორბაჩოვი შვიდეულის ლიდერებს წარუდგენს საბჭოთა კავშირში ეკონომიკური რეფორმების განხორციელების საკუთარ პროგრამას.

დასავლეთის საინფორმაციო სააგენტოების ცნობით, შვიდეულის ლიდერებს განსხვავებული შეხედულებები აქვთ საბჭოთა კავშირისათვის დახმარების გაწევის საკითხზე. აშშ, იაპონია, დიდი ბრიტანეთი და კანადა გამოდიან ფართო მასშტაბის ფინანსური დახმარების გაწევის წინააღმდეგ, ხოლო გერმანია, საფრანგეთი და იტალია მხარს უჭერენ დახმარების გაწევას.

პრეზიდენტმა ჯ. ბუშმა პარიზში ფ. მიტერანთან ერთობლივ პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომ აშშ მზადაა საბჭოთა კავშირს გაუწიოს დაუყოვნებლივი ტექნიკური დახმარება, მაგრამ წინააღმდეგია დასავლეთის მიერ ფართო მასშტაბის ფინანსური დახმარების გაწევისა.

კანადის პრემიერ-მინისტრის ბ. მალრუნის აზრით, შეხვედრის ზოგიერთი მონაწილე დააყენებს საკითხს, რამდენად სერიოზულია მ. გორბაჩოვის გეგმები, რადგანაც, მისი თქმით, საბჭოთა კავშირი კვლავ უზარმაზარ თანხებს ხარჯავს სამხედრო მიზნებისათვის, მაშინ, როდესაც ეკონომიკა კატასტროფის პირასაა მისული.

ბრიტანეთის პრემიერი ჯ. მეიჯორი ასევე არ ცდილობს დაფაროს თავისი სკეპტიციზმი საბჭოთა რეფორმების მიმართ.

საფრანგეთის პრეზიდენტმა ფ. მიტერანმა კი პარიზში პრესკონფერენციაზე მხარი დაუჭირა დაუყოვნებლივ დახმარებას საბაზრო ეკონომიკაზე გადასასვლელად.

იტალიის საგარეო საქმეთა მინისტრმა ჯ. დე მიქელისმა გაზეთ „ლა რეპუბლიკისათვის" მიცემულ ინტერვიუში აღნიშნა, რომ მისი ქვეყანა ლონდონის შეხვედრაზე მოითხოვს საბჭოთა კავშირის კონსტიტუციური პრობლემების განხილვას, ევროპისა და მსოფლიოს საზოგადოებრიობისათვის, მიუთითა მან, ძალზე სახიფათო იქნებოდა საბჭოთა კავშირის დაშლა.

გერმანიის კანცლერმა ჰ. კოლმა გაზეთ „ფრანკფურტერ ალგემაინე"-სათვის მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, რომ შეეცდება დაარწმუნოს შეხვედრის მონაწილენი, საბჭოთა კავშირისათვის დახმარების გაწევის აუცილებლობაში.

●

საბჭოთა საგარეო საქმეთა მინისტრმა ა. ბესმერტნიხმა დაასრულა ოთხდღიანი მოლაპარაკებები ვაშინგტონში სტრატეგიული იარაღის შემცირების შესახებ ხელშეკრულების საკითხზე. შესათანხმებელი დარჩა ამ ხელშეკრულების ტექნიკური დეტალები. თეთრი სახლის წარმომადგენელმა მ. ფიცუოტერმა განაცხადა, რომ თუ ხელშეკრულება არ იქნება მზად, ამ თვეში ნაკლებად სარწმუნოა, რომ ჩატარდეს ამერიკა-საბჭოთა კავშირის უმაღლესი დონის შეხვედრა, თუმცა, მისი თქმით, ყველაფერი დამოკიდებული იქნება ჯ. ბუშისა და მ. გორბაჩოვის გადაწყვეტილებაზე, ისინი ოთხშაბათს ლონდონში შეხვდებიან ერთმანეთს.

●

იუგოსლავიაში ჩავიდა ევროპის თანამეგობრობის კიდევ ერთი დელეგაცია 50 კაცის შემადგენლობით, რომელიც მეთვალყურეობას გაუწევს ფედერალურ მთავრობასა და რესპუბლიკებს შორის მიღწეულ დროებითი სამშვიდობო შეთანხმების შესრულებას.

ამავე დროს ხორვატიაში გრძელდება შეტაკებები რესპუბლიკის თავდაცვის ძალებსა და სერბებს შორის, რომლებიც ხორვატიაში ეროვნულ უმცირესობას შეადგენენ.

●

ერაყმა გაეროს ინსპექტორებს გადასცა თავისი ბირთვული ობიექტების ახალი სრული სია, მას შემდეგ რაც ჯ. ბუშმა და ფ. მიტერანმა ერთობლივ პრესკონფერენციაზე პარიზში განაცხადეს, რომ განაახლებენ სამხედრო მოქმედებებს ერაყის წინააღმდეგ, თუ სადამ ჰუსეინი კვლავ განაგრძობს ატომური იარაღის შექმნის ცდებს და არ შეწყვეტს ქურთების დევნას.

**ირინა თევდორაშვილი**

# „იბერიაბანკი“ ძალას იკრებს

ბოლო დროს ჩვენში სწრაფად იზრდება კომერციული და კოოპერატიული ბანკების რიცხვი, რაც იმაზე მიგვანიშნებს, რომ სუვერენული საქართველო ნელა, მაგრამ მაინც მიიწევს საბაზრო ეკონომიკისაკენ მიმავალ გზაზე. სადღეისოდ რესპუბლიკაში 25-მდე დამოუკიდებელი ბანკია. მათ შორისაა „იბერიაბანკიც“ — რესპუბლიკაში ერთ-ერთი პირველი სააქციო-უნივერსალური ბანკი. უკვე კარგა ხანია მიმდინარეობს ხელმოწერა „იბერიაბანკის“ აქციებზე — ბანკი ძალას იკრებს, რათა ღირსეული ადგილი დაიმკვიდროს დამოუკიდებელი საქართველოს ფულად-საკრედიტო სისტემაში. ჩვენი კორესპონდენტი შეხვდა **„იბერიაბანკის“ გამგეობის თავმჯდომარეს ბატონ ნუგზარ შეყილაძეს** და რამდენიმე კითხვით მიმართა მას.

**— რამ განაპირობა საჯარო ხელმოწერის გამოცხადება „იბერიაბანკის“ აქციებზე და რამდენად დიდია ინტერესი მათ მიმართ?**

— „იბერიაბანკი“ სულ რაღაც ერთი წლის წინათ შეიქმნა, როგორც კოოპერატიული ბანკი. არც თუ ისე დიდი ხნის მანძილზე მან შეძლო მყარი კლიენტურის შექმნა და ეფექტური საკრედიტო დაწესებულების სახელი დაიმკვიდრა. დღეისათვის ჩვენ საანგარიშსწორებო-საკრედიტო მომსახურებას ვუწევთ თითქმის 120 საწარმოს და ორგანიზაციას, რომელთა შორის არიან სახელმწიფო საწარმოები და კოოპერატივები, განსაზღვრული პასუხისმგებლობის მქონე და სააქციო საზოგადოებები. ვემსახურებით აგრეთვე ათობით კერძო პირს, რომლებიც გვანდობენ თავიანთ ფულად დანაზოგებს.

ბანკის საქმიანობის მასშტაბების სწრაფი ზრდა წინააღმდეგობაში მოვიდა მის შეზღუდულ ფინანსურ შესაძლებლობებთან. საჭირო გახდა „იბერიაბანკის“ საწესდებო ფონდის მკვეთრად გაზრდა. ამ მიზნით მიმდინარე წლის მარტში ბანკმა, რესპუბლიკაში ერთ-ერთმა პირველმა მიიღო სააქციო უნივერსალური ბანკის სტატუსი. იგი გახდა დახურული ტიპის სააქციო საზოგადოება. ჩვენ არც ამით დავკმაყოფილდით და ვისარგებლეთ რა მინიჭებული უფლებებით, გამოვაცხადეთ საჯარო ხელმოწერა „იბერიაბანკის“ აქციებზე.

დაინტერესება ბანკის აქციებით ერთობ დიდია როგორც წარმოება-დაწესებულებათა, ასევე მოქალაქეთა მხრიდან. ბანკის თანამშრომლები ძლივს აუდიან აქციების შეძენის მსურველთა მომსახურეობას. დღე ისე არ გავა, რომ ორასი-სამასი ათასი მანეთის ღირებულების აქციებზე არ იქნეს მოწერილი ხელი. საქმე იქამდეც მივიდა, რომ აუცილებელი გახდა ხუთმანეთიანი ფასდანამატის დაწესება „იბერიაბანკის“ აქციებზე, რის შესახებაც უკვე ეუწყა ფართო საზოგადოებას.

**— რას მისცემს „იბერიაბანკის“ აქციები მათ მფლობელებს?**

— ეს იმაზეა დამოკიდებული თუ როგორ აქციებს ფლობენ ისინი — პრივილეგირებულს თუ უბრალოს. პრივილეგირებულ აქციაზე მფლობელი მიიღებს 14 პროცენტს გარანტირებულ შემოსავალს. რაც შეეხება უბრალო აქციებს, დივიდენდის დონეს მათზე განსაზღვრავს ბანკის შემოსავალი. თუ ეს უკანასკნელი გაიზრდება, მოიმატებს უბრალო აქციის მფლობელის შემოსავალიც, რომელმაც შეიძლება ბევრად გადააჭარბოს 14 პროცენტს. გარდა ამისა, 50 000 მანეთის ღირებულების უბრალო აქციები იძლევიან ერთი ხმის უფლებას ბანკის აქციონერთა საერთო კრებაზე. პრივილეგირებული აქციების მფლობელი ამგვარი უფლებით არ სარგებლობს, რაგინდ დიდიც არ უნდა იყოს მისი კუთვნილი აქციების მთლიანი ნომინალური ღირებულება. შემთხვევითი არ არის, რომ აქციების შეძენის მსურველები უპირატესად უბრალო აქციებით ინტერესდებიან.

**— როგორია „იბერიაბანკის“ უახლოესი სამომავლო გეგმები?**

— ბანკის საქმიანობის ძირითადი მიზანია აქციონერთათვის მაღალი შემოსავლების უზრუნველყოფა, რა თქმა უნდა საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკის ინტერესების გათვალისწინებით.

ამ მიზნის, განხორციელებისათვის უწინარეს ყოვლისა, საჭიროდ მიგვაჩნია ბანკის საკრედიტო საქმიანობის გააქტიურება. მოკლევადიანი შეძლებისდაგვარად იაფი კრედიტი — ასეთია ჩვენი ძირითადი ორიენტირი. ეს სრულებითაც არ ნიშნავს იმას, რომ უარს ვამბობთ პერსპექტიულ ინოვაციურ პროექტებზე. ჩვენ მზად ვართ განვიხილოთ ყველა წინადადება, რომელთა ხორცშესხმა ხელს შეუწყობს ეროვნული ეკონომიკის გაჯანსაღებას.

„იბერიაბანკი“ აქტიურ მონაწილეობას მიიღებს კარსმომდგარ პრივატიზაციის პროცესში, ბანკში შეიქმნა ინვესტიციებისა და ფასიანი ქაღალდების განყოფილება, რომელიც განახორციელებს საწარმოთა აქციონირებასთან და ფასიანი ქაღალდების განთავსებასთან დაკავშირებულ ოპერაციებს. ბანკი მიმართავს პირდაპირ ინვესტირებასაც მატერიალური წარმოებისა და მომსახურების სფეროში. ამისათვის დაგეგმილი გვაქვს სპეციალური ჰოლდინგური ტიპის კომპანიის შექმნა.

ცალკე უნდა ითქვას „იბერიაბანკის“ სავალუტო ოპერაციებზე, სულ ახლახანს ბანკმა მიიღო სახელმწიფო ლიცენზია, რომელიც უფლებას გვაძლევს, განვახორციელოთ უცხოური ვალუტის ყიდვა-გაყიდვის ოპერაციები, გავხსნათ სავალუტო ანგარიშები როგორც იურიდიულ, ასევე ფიზიკურ პირებზე, გავცეთ კრედიტები უცხოურ ვალუტაში. ასე რომ, ორგანიზაციებს, საწარმოებს, აგრეთვე კერძო პირებს, ვისაც აქვს კონვერტირებული ვალუტა, პირველი აგვისტოდან შეუძლიათ მიმართონ „იბერიაბანკის“ სავალუტო ოპერაციების განყოფილებას.

უახლოეს მომავალში განზრახული გვაქვს პირდაპირი კავშირები დავამყაროთ დასავლეთ ევროპის ბანკებთან. უკვე მიმდინარეობს მოლაპარაკება ლონდონისა და ვენის საკრედიტო დაწესებულებებთან თანამშრომლობის ფორმების შესახებ. პირველ ეტაპზე ისინი აღმოგვიჩენენ დახმარებას კვალიფიცირებული კადრების მომზადებაში, მომავალში კი, როცა სათანადო პირობებიც შეიქმნება, დაამყარებენ ჩვენთან კორესპონდენტურ ურთიერთობებს.

**— რადგანაც სიტყვა კადრებზე ჩამოვარდა, საინტერესოა, რამდენადაა „იბერიაბანკი“ უზრუნველყოფილი კვალიფიციური სპეციალისტებით?**

— ჩვენ შევძელით შეგვექმნა ახალგაზრდული, თუმცა მეტად დინამიური კოლექტივი, რომლის წევრებმაც საბანკო მუშაობის პროცესში სწრაფად აიმაღლეს თავიანთი კვალიფიკაცია. დღეს ჩვენ უკვე გვყავს დაკრედიტების, საანგარიშსწორებო-საკასო მომსახურების, სავალუტო ოპერაციების, საბანკო მარკეტინგის კარგი სპეციალისტები, რომლებიც ნებისმიერ ბანკს დაამშვენებდნენ.

ბანკის სააქციო საზოგადოებად გარდაქმნასთან დაკავშირებით, მოხდა ცვლილებები მის ხელმძღვანელობაშიც. ბანკის სტრატეგიული მართვის ორგანოს — დირექტორთა საბჭოს სათავეში ჩაუდგა ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი, ბატონი მერაბ კაკულია, რომელმაც სტაჟირება გაიარა ავსტრიის ბანკებში და კარგად იცნობს ცივილიზებულ საბანკო ბიზნესს.

სპეციალურად უნდა აღინიშნოს ისიც, რომ „იბერიაბანკის“ მთავარი კონსულტანტია ცნობილი ქართველი ბანკირი, ახლო წარსულში ეკონომიკური თანამშრომლობის საერთაშორისო ბანკის გამგეობის თავმჯდომარე ბატონი ვაჟა ჯინჯიხაძე.

ასე, რომ ჩვენ მუშაობა არ გაგვიჭირდება, დაველოდოთ მომავალს.

# მთავარი კრიტერიუმი — ნიჭიერება

როგორ ფიქრობთ, შეიძლება თუ არა გახდეს ჟურნალისტი ახალგაზრდა, რომელმაც არ იცის ვინ გადაიღო „მიმინო“, ან რომელ ქვეყანაში მოედინება მდინარე თემზა?...

დიდი ხანი არ არის გასული მას შემდეგ, რაც თვითონ ვფიქრობდი 15, მაშინ როგორც მეგონა — მომაკვდინებელი კითხვის პასუხზე. ცხადია, ახლა უფრო იოლად ვუყურებდი ამ ყველაფერს, მაგრამ ბავშვებმაც დამიდასტურეს, რომ საოცრად კეთილგანწყობილი გამომცდელები იყვნენ, რომ თბილისის დამოუკიდებელი უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტზე წერითი ტურის წინ თითოეული თემის მიმართულება, ასპექტი და ლამის ხასიათიც კი განუმარტეს აბიტურიენტებს...

**თსუ ჟურნალისტიკის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი ნოდარ ტაბიძე:** აქამდე ჟურნალისტიკის ფაკულტეტს 50-60 ამთავრებდა და ლოგიკურია ვიფიქროთ: გვჭირდება კი ამდენი ჟურნალისტი?! და მაინც, თუ გავითვალისწინებთ თანამედროვე სიტუაციას (მხედველობაში მაქვს სოკოებივით მომრავლებული ჟურნალ-გაზეთები) და იმას, რომ საზოგადოება განსაკუთრებულ ინტერესს იჩენს ჟურნალისტიკისადმი — შეიძლება რამდენადმე გამართლებული იყოს ფასიანი სწავლების შემოღება. მხედველობაშია მისაღები ისიც, რომ საბაზრო ეკონომიკა კონკურენციის დიდ შესაძლებლობას იძლევა და ძალთა შერჩევის ფართო არეალიც უნდა გაგვაჩნდეს.

პროგრამა განიტვირთება ზოგიერთი ზედმეტად პოლიტიკური დისციპლინებისაგან, არ იქნება სამხედრო სწავლება და ამ თავისუფალ დროს შევეცდებით ყველა სტუდენტს ვასწავლოთ მანქანის ტარება, ყველას ვასწავლოთ ცურვა. საშუალება გვეძლევა მოვიწვიოთ უცხოელი სპეციალისტები, რომლებიც გამორჩეულნი არიან. დიდი ყურადღება გამახვილდება პრაქტიკაზე — შესაძლებელია გაცვლითი პრაქტიკაც საზღვარგარეთ. არ იფიქროთ, თითქოს ეს ყველაფერი ხვალვე იქნება... არა, მაგრამ მთავარი მაინც ის არის, რომ გაიზრდება მოთხოვნილობა ლექტორის მიმართ. ახალგაზრდა, რომელიც წელიწადში 5000 მანეთს იხდის, სრულიად ლოგიკურად, მოითხოვს მაქსიმალურად მიუახლოვდეს ცოდნის ზღვრულ სიმაღლეს....

●

მე პირადად პირველად მოვისმინე გამომცდელი აბიტურიენტს ეხვეწებოდეს, თუ არ იცი — ნუ იტყვიო... სისულელის თქმას, ჩუმად ყოფნა სჯობსო....

ისიც პირველად მოვისმინე გამომცდელი ამბობდეს, მითხარი რამე, არ მინდა ორიანის დაწერაო...

**კახა მაჭავარიანი** (აბიტურიენტი): ჩემთვის პირადად 15 წუთი არ არის საკმარისი ტექსტის კითხვების საპასუხოდ. მაგრამ მთლიანად ტურები კარგად მიმდინარეობს. ვერც არაობიექტურობას და ვერც „ჩასაფრებას“ დავაბრალებთ გამომცდელებს.

**თეა ყოლბაია** (აბიტურიენტი): რა ვიცი, მახსოვს, რომ სწორად გავეცი პასუხები... დედა, ეს რა დამემართა... როგორ გავიდე ახლა გარეთ... ბატონო? გასაუბრება? რა ვიცი, პატიოსნება არის და კარგად გვექცევიან გამომცდელები... მაგრამ მე რა ვქნა?

●

ალოგიკურია ტურებზე უპატიოსნო ქცევა, იმიტომ, რომ ჟურნალისტიკის ფაკულტეტის პროფესორ-მასწავლებლებთან ერთად მომავალ ჟურნალისტებს უკვე გამოცდილი კოლეგები ცდიან. და ვფიქრობ, არ უნდა იყოს მათთვის სულერთი, ორ, სამ თუ ხუთ წელიწადში ვინ იმუშავებს ქართულ პრესაში.

ისე კი, ამ სტრიქონების ავტორს, უფასო საბჭოთა უნივერსიტეტის კურსდამთავრებულს, 15 კი არა, 95 ფასიანი შეკითხვაც რომ იყოს, ერთი პასუხი აქვს — ნიჭიერება.

**მაია ჯალაღანიძე**



# ჰუდი დამოუკიდებლობას გვილოცავს...

ეს პატარა ბიჭუნა კანადელი ალექსანდრე დევიდ ჰუდი გახლავთ. დედამიწისა და ბუნების მეცნიერების ინსტიტუტის, მზე-დედამიწის კავშირების ლაბორატორიის დირექტორის, პროფესორ რობერტ პიტერ ლაუეს შვილიშვილი.

ბატონი ლაუე პირველად საქართველოში გასული წლის ოქტომბერში ჩამოვიდა. აბასთუმანში, ევროპული ქვეყნების ყოველწლიურ მე-17 სიმპოზიუმზე. სიმპოზიუმი ეძღვნებოდა დედამიწის ატმოსფეროს ოპტიკური მეთოდებით კვლევას.

ცნობილია, რომ აბასთუმნის კლიმატი საუკეთესოა, როგორც ასტროფიზიკური, ასევე ატმოსფერული დაკვირვებისათვის. ეს ფაქტი შეუმჩნეველი არ დარჩა პროფესორ ლაუეს და გამოთქვა სურვილი თავისი საკუთარი ხელსაწყოს მეშვეობით სამომავლოდ აქ აწარმოოს დაკვირვებები.

პროფესორი ლაუე საქართველოს პოლიტიკური ცხოვრებითაც დაინტერესდა. სწორედ ამის დასტურია ეს ფოტო, რომელიც მან აბასთუმნის ასტროფიზიკური ობსერვატორიის მეცნიერ-მუშაკს გოჩა დიდებულიძეს ნორვეგიაში, მე-18 სიმპოზიუმზე გადასცა...

ასე შეხვდა პატარა ჰუდი საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის დღეს.

**საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს ფრაქცია — დემოკრატიული ცენტრის განცხადება:**

ხუთშაბათს, 18 ივლისს, საღამოს 18 საათზე გაიმართება დემოკრატიული ცენტრის მორიგი სხდომა, სადაც განიხილება საკითხი პარლამენტს გარეთ მოქმედ პოლიტიკურ ორგანიზაციებთან თანამშრომლობის შესახებ. სხდომის მუშაობაში მონაწილეობას მიიღებენ აგრეთვე პარტიათა წარმომადგენლები.

დემოკრატიული ცენტრის წევრებს ვთხოვთ გამოცხადდნენ უზენაეს საბჭოში.

**დემოკრატიული ცენტრის სამდივნო**

## სიახლე!



# რას გვპირდება „უნივერსალი?“




დღეს იმდენად ცხადია და ხელშესახები უკრიზისით/გამოწვეული პრობლემები, რომ ყოველგვარ სიახლეს, რომელიც ცოტათი მაინც შეამსუბუქებს მდგომარეობას, მაშველი რგოლივით ვებღაუჭებით. გასაგებია ეს დამოკიდებულება, მაგრამ რითი უნდა აიხსნას ის ფაქტი, რომ სიახლის დამკვიდრება-დანერგვას არ ვჩქარობთ, უყურადღებოდ ვტოვებთ. შორს რომ არ წავიდე, ერთ კონკრეტულ ფაქტზე შევჩერდები:

ზუსტად ერთი წლის წინათ, საბჭოთა კავშირის გამოგონებათა და აღმოჩენათა საკავშირო კომიტეტმა რეგისტრაციაში გაატარა გამოგონება ხელსაწყოზე (№ 4862 402/06), რომელსაც შემქმნელთა ჯგუფმა, საქართველოს მანქანათმშენებელთა საზოგადოების თბილისის სამეცნიერო-საინჟინრო ცენტრის „სისტემოტექნიკოსის“ შემოქმედებითმა კოლექტივმა, ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატის თამაზ შავიძის ხელმძღვანელობით, პირობითად „უნივერსალი“ უწოდა. ეს ხელსაწყო „ამცირებს საწვავის ხარჯს, შესაძლებლობას იძლევა გამოვიყენოთ დაბალი ოქტანური რიცხვის მქონე საწვავი და რაც მთავარია, შესამჩნევად აქვეითებს გამონაბოლქვში მავნე ნივთიერებების შემცველობას“.

ამიტომ „უნივერსალის“, შეიძლება ითქვას, ამ მართლაცდა უნივერსალურ შესაძლებლობებზე სასაუბროდ რედაქციაში მოვიწვიეთ ბატონი **თამაზ შავიძე:**

**— ბატონო თამაზ, პირველ რიგში, მაინტერესებს, როგორია „უნივერსალის“ ეკონომიკური და ეკოლოგიური ეფექტი? და კიდევ, რა პრინციპზე მუშაობს ეს ხელსაწყო?**

— საკმაოდ მაღალი. თავად განსაჯეთ, ეს ხელსაწყო მოქმედებს როგორც ანტიდეტონატორი. ამდენად, შესაძლებელი ხდება დაბალი ოქტანურობისა და ტოქსიკურობის შედარებით იაფი ბენზინი A-76 მარკისა, რომელიც იწვევს დეტონაციას, ვიხმაროთ АИ-93-ის ნაცვლად. რაც შეეხება ეფექტს, ეკოლოგიური თვალსაზრისით, „უნივერსალი“ მავნე გამონაბოლქვებს ამცირებს დაახლოებით 40 პროცენტამდე, ეკონომიკური თვალსაზრისით კი ბენზინის ხარჯი 10 პროცენტამდე მცირდება. ასე რომ, ეს ციფრები თავისთავად მეტყველებენ „უნივერსალის“ უნივერსალურ შესაძლებლობაზე. რაც შეეხება ამ ხელსაწყოს მუშაობის პრინციპს, იგი ასეთია: „უნივერსალი“ მარტივი ტიპისაა, შედგება ორი კვანძისაგან — ამაორთქლებელი-შემრევისაგან და სარეცირკულაციო მილაკისაგან. ჰაერთან შერეული საწვავი სწრაფად დაიშლება და გადაიქცევა ორთქლად ამაორთქლებელ-შემრევის. გავლის შემდეგ. ის უნდა დაყენდეს კარბურატორის ქვეშ, ნარევის გამანაწილებლის თავზე. ნარევის სწრაფად დაშლა და ორთქლად ქცევა ზრდის წვის პროცესს. წვის პროცესის გაზრდა კი იწვევს — მავნე გამონაბოლქვების შემცირებას, რომლებიც არასრული წვის პროდუქტია; წყლის მეტი რაოდენობის გამოყოფას, რომელიც ანტიდეტონატორია და ნაკლები საწვავის მიწოდებას.

გამონაბოლქვი ცხელი აირის ნაწილი წნევით ბრუნდება კარბურატორში, სარეცირკულაციო მილაკის საშუალებით და, რა თქმა უნდა, გააცხელებს ნარევს, ასევე გაზრდის მისი გავლის სიჩქარეს ამაორთქლებელ-შემრევში, რითაც კომპენსირდება მავთულის ხვიებისაგან წარმოქმნილი წინააღმდეგობა. ნამწვი აირებიც წყლის მსგავსად საწვავზე, როგორც ანტიდეტონატორები, ისე მოქმედებენ.

**— ეს ხელსაწყო ალბათ, აუცილებლად გაივლიდა ხპეცშემოწმებას, როგორი შეფასება მიეცა „უნივერსალს?“**

— „უნივერსალი“, მასზე მუშაობის ორი წლის მანძილზე, მრავალმხრივ იქნა შესწავლილი და გამოცდილი. მიღებული გვაქვს დადებითი დასკვნები და რეკომენდაციები საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მოძრაობის უსაფრთხოების სამეცნიერო-კვლევითი ცენტრიდან და ატმოსფერული ჰაერის დაცვის სპეციალიზებული ინსპექციიდან. „უნივერსალის“ პრაქტიკაში გამოყენების შესახებ ოფიციალური თანხმობა გვაქვს სახავტოინსპექციის სამმართველოსაგან. ხოლო შარშან გამოგონებათა და აღმოჩენათა სახელმწიფო კომიტეტმა ამ ხელსაწყოს, როგორც სიახლეს, პრიორიტეტი მიანიჭა.

**— ბატონო თამაზ, ყველაფერი ეს გასაგებია, მაგრამ არის ერთი გასათვალისწინებელი მომენტიც: სანამ თქვენ ამ ხელსაწყოსათვის პრიორიტეტის მოპოვებას შეძლებდით, ასე ვთქვათ, ოფიციალურ აღიარებას მიაღწევდით, მანამდე კერძო პირებმა და კოოპერატორებმა მოაზერხეს „უნივერსალის“ მოქმედების პრინციპის გაგება და დაიწყეს მისი დამზადება პარტიზანული წესით. რა ქნას მძღოლმა, როგორ გაარჩიოს, რომელია უფრო გამოსადეგი?**

— მოგახსენებთ, ზოგიერთმა კერძო პირმა თუ კოოპერატივმა საკმაოდ მოითბო ხელი ამ ხელსაწყოს თვითნებური გამოშვებითა თუ მანქანებზე დაყენებით. მაგრამ მათ, ეტყობათ, საკმაოდ მოძველებული ნახაზებით ისარგებლეს. ამას გარკვეულწილად უარყოფითი შედეგებიც მოჰყვა. გაიზარდა მძღოლთა უკმაყოფილებაც. „უნივერლასის“ მანქანაზე დაყენებისას აუცილებელია საწვავის მოწოდებისა და წვის სისტემის დარეგულირება. ამასთან ეს უნდა გააკეთოს ძლიერმა სპეციალისტმა, სათანადო ხელსაწყოების დახმარებით. პარტიზანული წესით მომუშავეთ კი ამის გაკეთება გაუჭირდათ. მკვეთრი, უარყოფითი რეაქციაც ამან განაპირობა. ამიტომ, კარგი იქნება თუ ავტომოყვარულები თავს აარიდებენ კერძო პირებისაგან „უნივერსალის“ შეძენას. ჩვენ სახავტოინსპექციასთან შეთანხმებით შემოვიღეთ სპეციალური ბეჭდიანი ტალონები, რომელსაც ავტომფლობელი ხელსაწყოს დაყენების შემდეგ მიიღებს. მანქანის ტექნიკური შემოწმებისას მფლობელმა სწორედ ეს ტალონი უნდა წარუდგინოს ავტოინსპექციას. ეს ტალონი ფაქტიურად ხელსაწყოს პასპორტის როლს ასრულებს. ავტოინსპექცია სწორედ ამის საფუძველზე აკეთებს შესაბამის აღნიშვნას მანქანის ტექნიკურ პასპორტში.

**— სად შეუძლიათ ავტომფლობელებს „უნივერსალის“ შეძენა და დაყენება?**

— შეძენა თბილისის „სპორტკულტვაჭრობის“ მაღაზიებში შეიძლება, ხოლო დაყენება — თბილისის ავტოტექმომსახურების 21-ე სადგურში, რომელიც თემქის დასახლებაში მდებარეობს. ასევე ინსტრუქციაში მითითებულ მისამართზეც, შემდგომში ნავარაუდევია „უნივერსალის“ მარეალიზებელი ქსელის გაფართოება იმის მიხედვით, თუ როგორი იქნება მასზე მოთხოვნილება.

**— ბუნებრივია, მოთხოვნილება ასეთ ხელსაწყოზე ცოტა არ იქნება. საინტერესოა, რომელი საწარმო უშვებს მას?**

— „უნივერსალს“ საწარმოო გაერთიანება „ელექტროაპარატი“ უშვებს სამეცნიერო-საინჟინრო ცენტრის „სისტემოტექნიკოსის“ დაკვეთით. მიუხედავად ხელისშემშლელი პირობებისა (მასალების, ენერგიის დეფიციტი) გაერთიანების ხელმძღვანელობამ ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რომ მოკლე დროში აეთვისებინა და გამოეშვა პროდუქცია, რისთვისაც მათ მინდა დიდი მადლობა მოვახსენო.

**— ბატონო თამაზ, საუბარში თქვენ შემოქმედებითი ჯგუფი ახსენეთ. თუ შეიძლება ორიოდე სიტყვა მათზე?**

— ამ აღმოჩენის თანაავტორები არიან მოსკოველი ინჟინერი ვიტალი გუსევი; სამეცნიერო-საინჟინრო ცენტრის „სისტემოტექნიკოსის“ დირექტორი, ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი თემურ ცაბაძე. შინაგან საქმეთა სამინისტროს მოძრაობის უსაფრთხოების სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის განყოფილების უფროსი, ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი თემურ გელაშვილი და ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი ივანე ჯიქია. ჩვენმა ჯგუფმა თითქმის მთელი ორი წელი მოანდომა „უნივერსალის“ შექმნასა და პრაქტიკაში დანერგვას. იმედია, „უნივერსალი“ გაამართლებს და მცირე შვებას მაინც მისცემს ჩვენს ბუნებას.

ესაუბრა
**დიტო ჯუმითელი.**

**რედაქციისაგან: როგორც ხედავთ, „უნივერსალის“ შესაძლებლობები არცთუ უმნიშვნელოა, ამიტომ საჭიროა ადგილებზე დაუყოვნებლივ გაიხსნას ამ ხელსაწყოს დასაყენებელი პუნქტები. მათ რეალიზაციას მწვანეთა მოძრაობის ადგილობრივმა წევრებმა, ინიციატორებმაც უნდა დაუჭირონ მხარი, რათა წლების, ათწლეულების მანძილზე ჩვენი უხულგულობით დაჭრილ ბუნებას ვუშველოთ.**

სიახლე!

## წერილები რედაქციას

**22 ივნისს ჩვენს გაზეთში გამოქვეყნდა უნივერსიტეტის კედელთან მოკლული სტუდენტის ზაზა რონიაშვილის დედის წერილი, რომელსაც დიდი რეზონანსი მოჰყვა. ძირითადად ქალების, დედების წერილები მივიღეთ, რომლებიც თავიანთ უბედურებაზეც გვწერენ. დღეს გთავაზობთ რამდენიმე მათგანს.**

„ღვთისმშობლის წილხვედრ“ ქვეყანაში დღე ისე არ გავა, ქართველი არ მოკვდეს ქართველის ხელით. დღისით, მზისით, ყველას თვალწინ მეზობელი მეზობელს კლავს, მეგობარი-მეგობარს, ნათესავი-ნათესავს, თანატოლი-თანატოლს... ღმერთმა უწყის, რისი ჯულისთვის არ ჰკლავენ, ერთ ბეწო შეცდომას არ აპატიებენ ერთმანეთს, ზოგჯერ კი მთლად უმიზეზოდაც. მაშინ, როდესაც შინაური და გარეშე მტერი მოუმრავლდა საქართველოს, გვეგონა ერთმანეთს უფრო გავუფრთხილდებოდით, მაგრამ რატომღაც პირიქით მოხდა. დღეს, როცა თითოეული ქართველის სიცოცხლე ძვირად უღირს ჩვენს მამულს, მკვლელობათა რიცხვმა კი არ იკლო, არამედ იმატა და თუ ასე გაგრძელდა, მალე ალბათ გადავშენდებით.

შექმნილმა ვითარებამ აიძულა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი გამოეცა საგანგებო ბრძანება და ყოველი ქართველი კაცის მკვლელი, მიუხედავად მსხვერპლის (მოკლულის) დანაშაულისა და უდანაშაულობისა, გამოეცხადებინა ქართველი ერის მტრად. მაგრამ არც ამან გამოიღო სასიკეთო შედეგი. ერის მტრად გამოცხადებამაც ვერ შეაშინა ზოგიერთი ნაძირალა და ულმერთო.

ყველაზე უფრო აღმაშფოთებელი ისაა, რომ ახალგაზრდები ჰკლავენ ერთმანეთს. მათ შორის არასრულწლოვანები, პირტიტველა ბიჭები. ვინ მისცა საქართველოს დასაკარგავი შვილი. მოკლულთან ერთად მკვლელიც ხომ დაკარგულია მისთვის. რამდენი ძაძებში მოსილი, შვილმკვდარი და გულმკვდარი დედა დადის საქართველოში, რომელთაც ერთადერთი მიზანი დარჩენიათ ცხოვრებაში — შვილის მკვლელის დასჯა. სამწუხაროდ, ძალიან ბევრი მკვლელი დადის დაუსჯელი და ამით გაუბედურებულ დედებს სევდა და დარდი უორკეცდებათ. ნუთუ არავინ ფიქრობს ამ დედებზე? როგორ შეიძლება კაცის მკვლელს ერთი ბეწო სინანულის გრძნობა. არ გააჩნდეს?!.

ამ წერილსაც ერთ-ერთი გაუბედურებული დედა გწერთ ფოთიდან; ზაზა რონიაშვილის დედის წერილმა გადამაწყვეტინა თქვენთვის ჩემი გულისტკივილი გამეზიარებინა. მშრომელ და ალალმართალ ცოლ-ქმარს მოსწრებული ქალ-ვაჟი გვყავდა და ეს იყო მთელი ჩვენი სიმდიდრე. ქალიშვილი უმაღლესს ამთავრებდა, ბიჭი — ნუკრი კი მე-10 კლასში სწავლობდა. წესიერი, ზრდილი, თავაზიანი, ნიჭიერი და მართლაც ლამაზი ბიჭი იყო.

1990 წლის 15 ოქტომბერს ჩვეულებისამებრ სკოლაში (ქალაქის მე-2 საშუალო სკოლაში სწავლობდა) წავიდა ნუკრი და... დატრიალდა გაუგონარი ტრაგედია. ბიჭი, რომლის მომრევი არავინ მეგონა, მუხანათურად და ლაჩრულად მომიკლეს.

**ნუკრი ფილიას დედა.**

●

მინდა გაგაცნოთ ჩემი უბედური თავის ამბავიც. ძალიან ცუდ დღეშია ზაზას დედა, მეტი უბედურება რაღა შეიძლება, მაგრამ შეიძლება ითქვას, მე კიდევ უარეს დღეში ვარ.

1989 წლის 10 ივნისს მოულოდნელად დამეღუპა 23 წლის მაზლი. მაშინ დამემართა მიკროინფარქტი. 1990 წლის 5 მარტს ინფარქტით დამეღუპა მეუღლე. 1991 წლის 29 იანვარს შინ მომავალ ჩემს შვილს—ანრი ფუტკარაძეს დახვდნენ გაჩერებაზე და მოსთხოვეს ქურთუკი (მამისეული „პლაშისაგან“ შეკერილი იყო), ანრიმ არ მისცა, „ბიჭებო! მამისეულია და ვერ მოგცემთო“. სასიკვდილოდ ჩასცეს მუცელში დანა და გაიქცნენ. რამდენიმე საათს მიმდინარეობდა ოპერაცია, მაგრამ უშედეგოდ, დამეღუპა ჩემი 18 წლის ვაჟკაცი.

ზაზას და დათოს უბედურებამდე მომივიდა მე ეს საქმე, მკვლელები რომ ვისმეს სამაგალითოდ დაესაჯა, მერე იქნება არც ზაზა და დათო მოეკლათ.

ჩემი შვილის სიკვდილით ჩემი ოჯახი განადგურდა. მე სამუდამოდ დამაავადმყოფეს, მეორე ინფაქტი მომივიდა და 3 თვე ლოგინს მიჯაჭვული ახლა ძლივს წამოვდექი ფეხზე. რა ვქნა, პატარას რა ვუყო. მე-9 კლასის მოსწავლეს რამდენი ყურადღება სჭირდება, მას ხომ ბავშვობა არ გაუგია, რაც წამოიზარდნენ სულ ცრემლში და ტირილში იყვნენ. ახლა კი სულ მარტო დამრჩა.

მეც თქვენსავით ვამაყობ ჩემი შვილით. მას მთელი ქალაქი მისტირის.

რა დედაა ის დედა, ვინც მკვლელს ხელს დააფარებს და მართლმსაჯულებას არ წარუდგენს. ისინი ხალხის ხიძულვილს იმსახურებენ, მაგრამ მე რა, მე და ჩემს შვილს ეს რას გვიშველის...

**ნუნუ გველესიანი-ფუტკარაძე**

●

აუწერელია ჩვენი ოჯახების, ახლობლების ტრაგედია ჩვენი შვილების მკვლელობის გამო. მეც სამშობლოსათვის, ერისათვის გულანთებული 28 წლის ახალგაზრდა მომწყვიტეს გულიდან.

ზაზას, დათოს და სხვათა დედებო! არც თუ ცოტაა მოკლული, ნადგურდება ოჯახები. რა ხდება? რად გვინდა დამოუკიდებელი საქართველო უშვილებოდ?! ჩემი მოკლული შვილი წერდა:

„თვალი მივაპყარ ბუხრის ცეცხლიდან ავარდნილ ალებს
და საქართველოს გავხედე უტყვად.
ჰეი, გიორგი,
იქნებ ჩვენს მეტი დღეს ეგეთ მზერას არვინ აკარებს,
ეგ სიკვდილია, ნუ დამაჯერებ“!

ახალგაზრდების ბედიც გულს უკლავდა ჩემს მალხაზს. ხშირად იტყოდა ხოლმე: მცოდნენი და ნიჭიერნი ქუჩაში დადიან და მათ შველა უნდათო. მთელი ღამეები ფურცლებს ელოლიავებოდა, რომ გულში ნადები თავის ხალხამდე მიეტანა, რათა რაც შეიძლება ბევრისათვის აეხილა სიყვარულისათვის, სიმართლისათვის დაბინდული თვალი.

საკვირველია, ამდენი წესრიგის დამცველი უწესრიგობას იცავს? თუ არა, მათი შიშით ცაში ძერა და დედამიწაზე დამნაშავე ვერ უნდა დადიოდეს, მით უმეტეს, მკვლელები...

მკვლელთა დედებო! რატომ გაზარდეთ ასეთი უსულგულონი, სისხლით გაუმაძღარნი?!..

ვაი ჩვენს დაცემას! ოდითგანვე სხვათა და სხვათა ბოროტებისა გამო ჩვენს მიწა-წყალს სხვანი დედის რძესავით ირგებენ, უშიშრად და უნერვიულოდ ცხოვრობენ, ჩვენ კი?!.. ნაშრომ-ნაწამებნი შვილებისათვის, მათი სიყვარულით გაუხარელნი, მათივე სიკვდილით გამწარებულნი, გასაცოდავებულნი გავათრევთ წლებს იმ იმედით, რომ იქ, იმ ქვეყანაში შევხვდებით სიცოცხლით გაუმაძღარ ჩვენს შვილებს.

ჩემი შვილი თავის ერთ-ერთ ლექსში — „ჰეი, გიორგი“ საშველად წმიდა გიორგის უხმობს. მე კი მთელ საქართველოს ვუხმობ: ვამხილოთ მკვლელები, ერთხელ და სამუდამოდ გავუსწორდეთ მათ, თორემ ხვალ თქვენი პატარაც გაიზრდება და ახლა მას დაუმიზნებენ ტყვიას. ეს მოწოდებაც მინდა მისივე მოთხრობის „ჩემი ანგელოზი“-ს მიხედვით დავამთავრო: „ოჰ, რანი არიან ადამიანები, ეს თეთრი ჭიანჭველები, რასაც მიესევიან, ყველაფერს აფხვიერებენ, აშენებენ. ის კი არ იციან, რომ თუ ბოროტებას არ განდევნიან საკუთარი სულებიდან და დედამიწიდან, მათი ნალვაწნაშენი წყალშია ჩაყრილი. აი, ეს შეცდომა დაუშვა წინა ათასწლეულის ხალხმა“... ამ შეცდომებს ვუშვებთ ჩვენც და შვილთაშვილებს ვუტოვებთ ცოდვიან საქართველოს.

**ნაზი ბეჟარაშვილი,**

**გურჯაანი.**



ცოტა რამ ბიოგრაფიიდან:

ლადო გურგენიძე 20 წლისაა, დაამთავრა თბილისის 42-ე საშუალო სკოლა. დამთავრებისთანავე ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტზე. მე-2 კურსზე სამკვირიანი გაცვლის პროგრამით სწავლობდა ვილიამს კოლეჯში (მასაჩუსეტსის შტატი).

ამონაწერი დახასიათებიდან:

ღრმად განსწავლული, ფართო ინტერესების, პირველხარისხოვანი ლინგვისტი, შესანიშნავად ფლობს ინგლისურ ენას, იცის ფრანგული ენა, მისდევს სამთო-სათხილამურო სპორტსა და ძალოსნობას.

პედაგოგის აზრით: მასში არის რაღაც განსაკუთრებული. უნივერსიტეტში პირველი დღიდანვე გამოირჩეოდა, როგორც საუკეთესო სტუდენტი. იგი საუკეთესოა საუკეთესოთა შორის. მე ვამაყობ მისით...

## ინტერვიუ მომავალ მაგისტრთან

# ორი წელი ამერიკაში

## ანუ „რას ვეტყვი მე ჩემს ქვეყანას ახალს"?

[…] ამერიკის 15 საუკეთესო კოლეჯთა რიცხვში შედის.

— ლადო, ამერიკაში სწავლა ბევრს გართობა ჰგონია მხოლოდ...

— გართობისათვის ამერიკაში […]

შეუძლია სემესტრში 3 გამოცდა ჩაატაროს, შეუძლია სულაც არ ჩაატაროს.

ასეა, თავისუფლება ყველაფერში: აირჩიე რაც გინდა: გნებავს, გამოცდა სოციოლოგიურ გა[…]

[…] ვიანია, სწავლობენ მხოლოდ ერთ საგანს, სურვილის მიხედვით. ლექტორი არანაირად არ იზღუდება: უნდა სემინარს ჩაატარებს, უნდა თეორიულ კურსს წაიკითხავს, […]

[…] ამედ ერთგვარი კაპიტალია, საკუთარი მატერიალური და სოციალური სტატუსის გაუმჯობესების მნიშვნელოვანი ბერკეტი. ჩემი აზრით, ის, რაღაც დამამთავრებელი შტრიხი, რომელიც შემმარ[…]

[…] რომ მე „კარგი ბიჭი" ვარ, არამედ იმიტომ, რომ მე კარგი ქართველი ბიჭი ვარ და კიდევ იმიტომაც, რომ ჩემნაირი ახალგაზრდები სჭირდება საქართველოს...

ესაუბრა
მარინე დონაძე



იმპერიულ ურჩხულთან მებრძოლი საქართველო ძნელად, მაგრამ მიზანმიმართულად მიიკვლევს თავისუფლებისაკენ მიმავალ ბილიკს. 31 მარტის რეფერენდუმი, დამოუკიდებლობის აღდგენის დეკლარაცია და პრეზიდენტის საყოველთაო არჩევნები ამ გზაზე გადადგმული სამიდო ნაბიჯებია. ახლა უდიდესი მნიშვნელობა აქვს უცხოეთის სახელმწიფოთა მიერ ჩვენი დამოუკიდებლობის ცნობას.

დაჩქარებული ინტეგრაციის პირობებში, რომელსაც თანამედროვე მსოფლიო მოუცავს, თავისუფალ და დამოუკიდებელ სახელმწიფოთა კონტაქტები მხოლოდ პოლიტიკური მოტივებით როდი განისაზღვრება; ანგარიში ეწევა ხმა თუ იმ ქვეყნის გეოგრაფიულ ადგილმდებარეობას, ეკონომიკურ შესაძლებლობებს, ინტელექტუალურ და კულტურულ პოტენციალს, ურთიერთსარგებლიანი და ხელსაყრელი თანამშრომლობისათვის აუცილებელ სხვა ფაქტორებს. ამ კუთხით ანგარიშგასაწევია 1918-1921 წლების დემოკრატიული საქართველოს გამოცდილება. მსოფლიოს მრავალმა სახელმწიფომ არა მხოლოდ ცნო საქართველოს რესპუბლიკა და დაამყარა მასთან დიპლომატიური ურთიერთობა, არამედ ჩვენს ქვეყანასთან სავაჭრო-ეკონომიკურ თუ სხვა კონტაქტებშიც ჩაება. ვფიქრობთ, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საერთაშორისო ურთიერთობების მართებული შესწავლა და გააზრება სასიკეთოდ წაადგება დღევანდელ საქართველოს.

წინამდებარე წერილი ერთ კონკრეტულ ქვეყანასთან, კერძოდ საფრანგეთთან საქართველოს ურთიერთობის ზოგიერთ ასპექტს ეხება.

# საქართველო ევროპულ გზებზე

კავშირ-ურთიერთობებს საქართველოსა და საფრანგეთს შორის სათავე ასწლეულების სიღრმეში უდევს, მაგრამ შეუძლებელი იყო გეოგრაფიულად ესოდენ დაშორებული ამ ორი ქვეყნის ურთიერთობას ადრე სისტემატური ხასიათი მიეღო. კონტაქტები უფრო მეტად ეპიზოდებით შემოიფარგლებოდა. […]

[…] რესპუბლიკას ყოველგვარი დახმარება" — განუცხადა მილიერანმა ე. გეგეჭკორს მიღებისას.

საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციოზი, გაზეთი „Temps" პერიოდულად ბეჭდავდა ინფორმაციებს ჩვენს ქვეყანაში მიმდინარე მოვლენების შესახებ, მკითხველს აცნობდა […]

[…] საქართველოში არსებობდა მმართველობის დემოკრატიული სისტემა, რომელიც გამორიცხავდა კავშირ-ურთიერთობების […] ტიულ გაქიანურებას მისგან გამომდინარე ყველა უარყოფითი შედეგით.

ცნობილია თუ რა მაღალი შეფასება მისცეს საქართველოს რესპუბლიკაში დამკვიდრებულ დემოკრატიას ევროპის სოციალისტური მოძრაობის ლიდერებმა, რომლებიც საგანგებოდ ესტუმრნენ ჩვენს ქვეყანას. სხვა მაგალითსაც დავიმოწმებ:

1920 წლის ზაფხულში დამდეგს საქართველოს ეწვია საფრანგეთის ცნობილი მწერალი ქალი ოდეტტა კოიენი. მას განზრახული ჰქონდა საქართველოს სახელმწიფო მართვა-გამგეობის, კულტურის; ისტორიისა და ბუნებრივ სიმდიდრეთა შესახებ წიგნი დაეწერა. ფრანგმა სტუმარმა კარგა ხანს დაჰყო ჩვენში, იმოგზაურა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, ხოლო აბასთუმანში დასასვენებლადაც შეჩერდა. სამშობლოში გამგზავრებისას, კორესპონდენტთან საუბარში, მწერალმა აღნიშნა: „მე არც კი შემეძლო დამეშვა ასეთი სრული ერთიანობა საქართველოს მმართველობასა და ხალხს შორის... საქართველოს შევადარებდი იაპონიის დემოკრატიას, რომელსაც ასევე ღრმად უყვარს თავისი სამშობლო, მაგრამ, სამწუხაროდ, ისეთი ძლიერი არ არის, როგორც საქართველოს რესპუბლიკის დემოკრატია" („საქართველოს რესპუბლიკა", 1920 წ. 23 ივნისი).

ამგვარი სტუმრობები ხელს უწყობდა დასავლეთისათვის საქართველოს რესპუბლიკის უფრო ახლოს გაცნობას, ამიტომ ხელისუფლება სახსრებს არ იშურებდა საქართველოში სხვადასხვა ქვეყნის ცნობილი ადამიანების მოსაწვევად.

თანამშრომლობა საფრანგეთთან სულ უფრო ფართოვდებოდა; კონტაქტები სცდებოდა ვიწრო ეკონომიკურ ჩარჩოებს და სახალხო მეურნეობის ახალ-ახალ სფეროებს მოიცავდა. იმდროინდელ პრესაში იშვიათად როდი შევხვდებით ასეთ ცნობებს:

„ფრანგული საზოგადოების გემი „სირაკასი" ამ დღეებში ნეა[…]

[…] ხელსაყრელი ადგილმდებარეობისა და ბუნებრივ სიმდიდრეთა გარდა, დასავლეთის საქმიან წრეებს ჩვენში იზიდავდა ისიც, რომ […]

ოთარ ჯანელიძე

# ტერორი დროებით გადაიდო(?!)

[…] თვლის იმყოფებოდეს ფარულ მდგომარეობაში".

თავისთავად ორგანიზაციის შექმნა, რომელიც დაიცავს აბიტურიენტთა უფლებებს, ცუდი არაა. მიზნებიც კეთილშობილი აქვთ. ამას მივესალმებით, მაგრამ რაც […]

[…] ავთ, ეს მათ მიერ გამოგზავნილ (ანონიმურად, ცხადია) „დეკლარაციაში" სწერია:

„თუ საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში მისაღები გამოცდები არ ჩატარდება ობიექტურად, განსაკუთრებით კი სამედი[…]

[…]

რედაქცია

ეროვნული ბიბლიოთეკა

## მამული, ენა, სარწმუნოება

# სინანული-აღსარება

## ანუ

## ცოდვათაგან გახსნის საიდუმლოება ქრისტეს წმიდა ეკლესიაში

†

უფლის აღდგომიდან ორმოცდამეათე ანუ ამაღლებიდან მეათე დღეს მოხდა სული წმიდის გარდამოსვლა მოციქულებზე: „და როცა სრულდებოდა ორმოცდაათობის დღე, ყველანი ერთად იყვნენ ერთ ადგილას. და ანაზდად იგრგვინა ზეცით, თითქოს გრიგალი აგუგუნდაო, და აავსო მთელი სახლი, სადაც ისინი იყვნენ. და მოევლინა მათ ალივით გაყოფილი ენები, რომლებიც დაეფინა თვითეულ მათგანს. და აღივსნენ ყველანი სული წმიდით...“ (საქმე 2, 1–3). იმ დღიდან არსებობს ეკლესია, რომელიც არის „სხეული ქრისტესი“ (კოლას. 1,24).

მადლი, რომელიც მოციქულებმა ორმოცდამეათე დღეს მიიღეს, გადასცეს თავიანთ მოწაფეებს ხელდასხმით. ამ უკანასკნელებმა კი თავიანთ მოწაფეებს, და ასე მოაღწია ჩვენამდე ჭეშმარიტმა სამოციქულო ეკლესიამ. ეკლესიაში მოქმედებს მაცხოვნებელი მადლი, რომლიც აუცილებელია ადამიანთა გადარჩენისათვის. და ეს მადლი მორწმუნეებს გადაეცემათ საეკლესიო საიდუმლოებების საშუალებით, რომელთა საერთო რიცხვი არის შვიდი, და რომლებიც ამ სოფელში ხორციელად ყოფნის დროს თვით მაცხოვარმა დააწესა.

ერთ-ერთი ამ საიდუმლოებათაგანია სინანული-აღსარება, ცოდვათა გახსნისა და მიტევებისა. იესო ქრისტემ ჯერ კიდევ ჯვარცმამდე აღუთქვა მოციქულებს: მოგცემ შენ ცათა სასუფევლის გასაღებებს, და რასაც შეკრავ მიწაზე, შეკრულ იქნება ცაშიც, ხოლო რასაც დახსნი მიწაზე, დახსნილ იქნება ცაშიც“ (მათე 16,19); ხოლო აღდგომის შემდეგ მიანიჭა კიდევაც მოციქულებს და ამით ეკლესიას ეს უდიდესი უფლება: „კვლავ უთხრა მათ იესომ: მშვიდობა თქვენდა! როგორც მე მომავლინა მამამ, ისე მე წარგავლენთ თქვენ. ეს რომ თქვა, შეუბერა და უთხრა მათ: მიიღეთ სული წმიდა, ვისაც მიუტევებთ ცოდვებს, მიტევება მათ; და ვისაც დაუტოვებთ, დარჩება მათ“ (იოანე 20, 21–23).

ადამიანი რომ ღირსი გახდეს ცოდვათა მიტევებისა, მან უნდა შეიგნოს სიმძიმე ცოდვათა და შეინანოს. სწორედ სინანულია დასაწყისი ჭეშმარიტი ქრისტიანული ცხოვრებისა. ამიტომაც ქადაგებდა იოანე ნათლისმცემელი უდაბნოში ასე: „...მოინანიეთ, ვინაიდან მოახლოვდა ქრისტეს სასუფეველი...“ (მათე 3,2). რამეთუ საკუთარი ცოდვების განცდისა და სინანულის გარეშე შეუძლებელია ქრისტეს მიღება. ამასვე ქადაგებდა თვითონ უფალიც თავისი მოღვაწეობის დასაწყისში: „...მოინანიეთ და იწამეთ სახარება“ (მარკ. 1,5). ექნება რა სინანული ჩადენილი ცოდვების გამო, ადამიანმა კიდეც უნდა აღიაროს ისინი. ცოდვათა აღიარებაც ანუ აღსარება თვით ღმერთის მიერ არის დაწესებული. ჯერ კიდევ ძველ აღთქმაში ვკითხულობთ: „თუ დამნაშავეა ერთ-ერთ ამათგანში, უნდა აღიაროს, რომ ცოდვა აწევს,.. და მღვდელი ცოდვის შენდობას გამოითხოვს მისთვის“ (ლევიტ. 5, 5, 6). „აღიარონ თავიანთი ცოდვა რაც ჩაიდინეს...“ („რიცხ. 5, 7); „ვინც თავის ცოდვებს მალავს, ხელი არ მიემართება, ხოლო ვინც მათ აღიარებს და მიატოვებს, შეწყალებულ იქნება“ (იგავ. 28, 13). ასევეა ახალ აღთქმაშიც: „ინათლებოდნენ მისგან (იოანესგან) იორდანეში და აღიარებდნენ თავიანთ ცოდვებს“ (მათე 3, 2, 6); და მრავალი მორწმუნეთაგანი მოდიოდა (მოციქულებთან) და აღიარებდა და აცხადებდა თავის საქმეებს“ (საქმე 19, 18). მოტანილი ადგილებიდან ჩანს, რომ ცოდვების აღიარება საჭიროა კონკრეტულ მოძღვართან, რამეთუ მღვდელმსახურმა არ იცის ადამიანის ცოდვა, რა უნდა მიუტევოს მას?

შეიძლება ზოგიერთმა იკითხოს: „ხომ შეიძლება შეგნებულად ვცოდო, შემდეგ აღსარებას ვიტყვი მღვდელთან და უფალიც მომიტევებს?“ ან კიდევ: „მთელი ცხოვრება შეგნებულად ვცოდავ, ბოლოს კი მოვინანიებ“. ასეთებს პასუხს გასცემენ მოციქულთა თავნი წმიდა პეტრე და წმიდა პავლე: „უჯობდათ საერთოდ არ შეეცნოთ გზა სიმართლისა, ვიდრე შეცნობის შემდეგ უკუქცეულიყვნენ მათთვის მიცემული წმიდა მცნებისაგან. მაგრამ მათთვის თქმულა მართალი ანდაზა: ძაღლი მიუბრუნდა თავის ნარწყევს, და დაბანილი ღორი კვლავ თავის წუმპეში ჩაგორდა“ (2 პეტრე 2, 21, 22); „...თუ ჩვენ, მას შემდეგ, რაც მივიღეთ ჭეშმარიტების ცოდნა, კვლავ ვცოდავთ ნებსით, აღარარა რჩება მსხვერპლი ცოდვისათვის, არამედ რაღაც საშინელი მოლოდინი მსჯავრისა, და მძვინვარება ცეცხლისა, მტერთა შთასანთქმელად განმზადებულის. თუკი მოსეს რჯულის უარმყოფელი, ორი თუ სამი კაცის მოწმობით, შეუწყალებლად უნდა მოკვდეს, როგორ გგონიათ, რამდენად უფრო მძიმე იქნება მისი სასჯელი, ვინ თრგუნავს ძეს ღმერთისას, და არაღირსად რაცხს აღთქმის სისხლს, რომელთაც განიწმინდა, და აგინებს მადლის სულს?“ (ებრ. 10, 26–29).

შეიძლება ზოგიერთმა ასეც ბრძანოს: „აბა მე რა ცოდვილი ვარ. კაცი არ მომიკლავს და არ მომიპარია?!“ ამათ პასუხს იოანე მოციქული გასცემს: „თუ ვიტყვით, რომ არა გვაქვს ცოდვა, ჩვენ თავს ვატყუებთ, და ჭეშმარიტება არ არის ჩვენში. თუ ვაღიარებთ ჩვენს ცოდვებს, სარწმუნოა და მართალი, რათა მოგვიტევოს (უფალმა), ცოდვები და ყოველგვარი უსამართლობისაგან განგვწმინდოს ჩვენ. თუ ვიტყვით რომ არ შეგვიცოდავს, ცრუდ ვსახავთ მას (უფალს), და მისი სიტყვა არ არის ჩვენში“ (1 იოანე 1, 8–10).

ადამიანებმა ხშირად არც კი ვიცით თუ რა არის ცოდვა. არადა, ჩვენ ყოველ წუთში ვცოდავთ. ცოდვები ყოველთვის ჩვენი თანამგზავრნი არიან. აი ისინიცა, ნაყროვანება ანუ გემოთმოყვარეობა და მემთვრალეობა; მრუშობა ანუ ყოველნაირი ხორციელი გარყვნილება; მრისხანება ანუ გაავთრება და უსიყვარულობა ადამიანთა მიმართ: ვერცხლისმოყვარეობა ანუ სიმდიდრის სიყვარული, რომელიც კერპთაყვანისმცემლობაა; სევდა და უიმედობა, რომელიც ნაადრევი სიკვდილია სულისა, რომელიც შედეგია ამქვეყნიურ ცხოვრებაზე მიჯაჭვულობისა და ფუჭი ოცნებებისა; პატივმოყვარეობა, რომელიც არტისტად გვხდის ამ ცხოვრების სცენაზე და რომელიც ხალხისაგან აპლოდისმენტების მოლოდინში გვამყოფებს მუდამ; სიამაყე, რომელიც გვხდის ამპარტავანსა და ამავე ცხოვრებაში სხვა ადამიანთა საძულველ პირად, და მრავალი სხვანი და სხვანი.

ეხლა ორიოდ სიტყვით იმის შესახებ, თუ როგორ უნდა მოიქცეს ადამიანი კონკრეტულად, როდესაც მას სურვილი გაუჩნდება მონანიებისა. უპირველეს ყოვლისა, მან მღვდელმსახურთაგან უნდა შეარჩიოს ერთ-ერთი, რომელიც მისი მოძღვარი გახდება. მოძღვარი უნდა იყოლიოს ერთი, რამეთუ იგი მისი სულის მკურნალი, ექიმი უნდა გახდეს. ექიმობა საჭიროა იმდენად, რამდენადაც. ჩვენ ჩვენი ძალებით ვერ ვახერხებთ ცოდვებისაგან თავის დაღწევას და მოძღვარი, ისევე როგორც ექიმი პაციენტს, გვაძლევს წამალს, ანუ გარკვეულ კანონებს, რითაც ხდება ჩვენი კურნება. და ეს სულიერი წამალი რომ ეფექტური იყოს, ამისათვის საჭიროა მოძღვარი კარგად გვიცნობდეს ჩვენ სულიერად, და რა თქმა უნდა, იგი ამას მაშინ შესძლებს, თუ კი ის ჩვენი მუდმივი მკურნალი იქნება. აღსარების შემდეგ, თუ კი მას თან ახლავს სინანული, რომელიც ძირითადი არსია საიდუმლოებისა, მღვდელი კითხულობს შენდობის ლოცვას, რომლის დროსაც ადამიანს თვით უფლისაგან საიდუმლოდ მიეტევება ცოდვა. აღსარების დროს ყოველი ცოდვა უნდა ითქვას კონკრეტულად, ყოველგვარი შემამსუბუქებელი გარემოების აღნიშვნისა და ცოდვის გამომწვევ მიზეზად სხვათა დადანაშაულების გარეშე. არ უნდა დავფაროთ არაფერი. არ უნდა ვაცრუოთ მღვდელს, რამეთუ ამით ვცრუობთ ღმერთის წინაშე. მაგალითად, როდესაც ანანია და მისი ცოლი ეცრუვნენ პეტრეს, „პეტრემ თქვა: ანანია რატომ აღავსო სატანამ შენი გული, რომ გეცრუა სული წმიდის მიმართ..., ხალხს კი არ ეცრუე, არამედ ღმერთს“ (საქმე 5, 3, 4). ამის შემდეგ ანანია და მისი ცოლი მოკვდნენ. უნდა კარგად გვესმოდეს, რომ აღსარების დროს ვდგევართ უფალთან და მას ვეუბნებით ჩვენს ცოდვებს. დიდი ცოდვაა აგრეთვე მოუცლელობის მომიზეზებით ან სიზარმაცით აღსარების გადადება სხვა დროისთვის. ამით ჩვენ უფალს გამოვცდით. ჩვენ არ ვიცით, რა დაგვემართება ხვალ.

სამწუხაროდ, ზოგიერთი ადამიანი შეცდომით ფიქრობს, რომ ცხონებისათვის საკმარისია ზნეობრივი ცხოვრება და სახარების კითხვა. მას არ ესმის, რომ საიდუმლოება ხსნისა მხოლოდ ეკლესიაშია განცხადებული, და თვით ზეციურმა ანგელოზებმა ეს საიდუმლოებანი ეკლესიისაგან გაიგეს: „და გამოვუცხადოთ ყველას, რა არის ზიარება საიდუმლოსი, უკუნისამდე დაფარულისა ღმერთში, რომელმაც შექმნა ყოველივე იესუ ქრისტეს მეოხებით, რათა აწ ეკლესიის მეშვეობით ეუწყოს ზეციურ მთავრობათა და ხელმწიფებად (ანგელოზებს) მრავალფეროვანი სიბრძნე ღმერთისა“. (ეფეს. 3, 9, 10).

ეს არის მოკლედ ეკლესიის სწავლება სინანულის საიდუმლოების შესახებ. ხოლო იმ პიროვნებისა გამო, ვინც არ შეისმენს ეკლესიის სიტყვას, მათე მახარობელი იტყვის: „...თუ არც ეკლესიას შეისმენს, მაშინ იქნება იგი შენთვის როგორც მებაჟე და წარმართი. ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ: რასაც შეკრავთ მიწაზე, შეკრულ იქნება ცაშიც. და რასაც დახსნით მიწაზე, დახსნილი იქნება ცაშიც“ (მათე 18, 17, 18).

**თეოდორე გიგნაძე,**

**სასულიერო აკადემიის II კურსის სტუდენტი.**



# დავეხმაროთ წინანდალს



წინანდალი — საქართველოს სიმდიდრისა და სილამაზის თვალმარგალიტი.

„წინანდალი ნამდვილი სასწაულია“ — წერდა მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში საფრანგეთის კონსული თბილისში, შევალიე გამბა.

წინანდალს განსაკუთრებულ იერს მატებს დეკორატიული პარკი. რას არ ნახავთ აქ — უთხოვარს, მაგნოლიას, კრიპტომერიას, მუხასა თუ სხვა უნიკალურ ნარგავებს. წინანდლის დეკორატიული პარკი ხომ პეიზაჟური კომპოზიციის ერთ-ერთი საუკეთესო ნიმუშია.

გულთბილად მიგვიღო მუზეუმის დირექტორმა ედუარდ გეგელიძემ. ჩვენი საუბარიც სამუზეუმო პრობლემებს შეეხო.

ედუარდ გეგელიძის კაბინეტში სანდომიანი კაცის პორტრეტს შევავლე თვალი. დავინტერესდი, ვინ უნდა ყოფილიყო იგი. ეს ადამიანი ირაკლი ხმალაძე აღმოჩნდა. წინანდლის პარკის ყოფილი დეკორატორი, ალექსანდრე ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმის პირველი დირექტორი. მუზეუმი 1946 წელს გაიხსნა გოგლა ლეონიძის მესვეურობით ჭავჭავაძიანთ მამულში. მუზეუმს თავდაპირველად ერთი ოთახი ჰქონდა დათმობილი. ექსპონატების შეგროვება ხდებოდა დიდი წვალებით.

— არის დღესაც ისეთი ოჯახები, — განაცხადა ბატონმა ედუარდ გეგელიძემ, — რომელთაც გააჩნიათ ძველი სამუზეუმო საოჯახო რელიქვიები, მაგრამ მათი შეძენა დიდ სიძნელეებთანაა დაკავშირებული.

გადიოდა წლები და მუზეუმს ახალი საექსპოზიციო დარბაზები ემატებოდა.

დღეს მუზეუმის მეცნიერ-მუშაკები ენერგიას არ იშურებენ ალექსანდრე ჭავჭავაძის, როგორც ეროვნული დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი პოეტის, მასალების წარმოსაჩენად.

სამწუხაროდ, უკანასკნელ წლებში რატომღაც ძალიან იკლო დამთვალიერებელთა რიცხვმა.

მუზეუმის მეცნიერ-მუშაკმა გულნარა ხუციძემ წარმოგვიდგინა შთაბეჭდილებათა წიგნი. მან განსაკუთრებული სიყვარულით აღნიშნა უამრავ ავტოგრაფთა შორის ორადორი. ყველაზე ძველი გახლავთ ავტოგრაფი კალისტრატე ცინცაძისა, შესრულებული 1913 წელს. კალისტრატე ცინცაძე წინანდალს ივლისში სტუმრებია. შთაბეჭდილებათა წიგნში ჩანაწერი რუსულადაა გაკეთებული. მეორე ჩანაწერი კი ეკუთვნის მწერალ კონსტანტინე გამსახურდიას. აი, რას გვამცნობს მისი ავტოგრაფი: „პირველად ვნახე ეს უდიდესი მარანი საქართველოსი“. მწერალი აქ პირველად 1934 წლის აგვისტოში ყოფილა.

—წინანდლის შემოგარენის, სოფელ კისისხევთანაა დაკავშირებული ბატონ კონსტანტინე გამსახურდიაზე კიდევ ერთი მოგონება — მითხრა ბატონმა ედუარდ გეგელიძემ, — 1957 წელს თელავის მასწავლებელთა სახლს „ვაზის ყვავილობის“ გარჩევაზე სწვევია კონსტანტინე გამსახურდია. მამას ახლდა ქალიშვილი თამარი. საუბრის ერთ-ერთი თემა წინანდლისა და მისი შემოგარენის ხუროთმოძღვრული ძეგლები ყოფილა. და აქ ბატონ კონსტანტინეს დიდი სიყვარულით უხსენებია კისისხევის ციხე-წისქვილი.

გვიან საღამოს მე და ედუარდ გეგელიძემ ვნახეთ ეს ციხე-წისქვილი, სამწუხაროდ, ეს გარემო სერიოზულადაა მოსაწესრიგებელი. ციხე-წისქვილთან ძლივსღა შეიმჩნევა წყლის ოდესღაც მისაყვანი არხები. გვინდოდა ამ ხუროთმოძღვრული ძეგლის მამაპაპურ მდგომარეობაში აღდგენა, — განაცხადა ჩვენმა მეგზურმა გაიოზ კობაიძემ, — მაგრამ სპეციალისტთა კონსულტაციის გარეშე ვერ მოვახერხეთ.

წინანდლის ალექსანდრე ჭავჭავაძის მუზეუმის ბაზაზე არსებობს ლიტერატურული გაერთიანება „მუზათა სავანე“. მას ხელმძღვანელობს მუზეუმის მეცნიერ-თანამშრომელი ბელა გონჯილაშვილი.

მეცნიერ-მუშაკები ხშირად აწყობენ გამოფენებს და კითხულობენ ლექციებს სხვადასხვა ორგანიზაციებში. ამ დარგში აქტიურობას იჩენენ თინა ჭიორელი, ლეილა ზარნაძე, იზა დოლმაზაშვილი, ექსკურსიამძღოლი ნანა მაისურაძე და სხვა.

მაგრამ არის რიგი გადასაწყვეტი საკითხებიც. მუზეუმს არ გააჩნია სიგნალიზაცია, მეცნიერ-მუშაკებს არა აქვთ საკმარისი სამუშაო ოთახები. სამწუხაროდ, მუზეუმი სათანადო ლიტერატურითაც ღარიბია, საერთოდ მუზეუმის მომარაგება ლიტერატურით როდი ხერხდება. საჭიროა პირველ სართულზე მემორიალურ ნაწილში გარემონტდეს 10 ოთახი. სახურავიდან წვიმის დროს ადგილ-ადგილ წვეთავს წყალიც.

წინანდლის ალექსანდრე ჭავჭავაძის სახელობის მუზეუმს მხარში უნდა ამოუდგეს თელავის პრეფექტურა და კულტურის განყოფილება, კულტურისა და ფინანსთა სამინისტროებიც.

**თამაზ ქიქავა**

**სურათებზე:** ალექსანდრე ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმში; მუზეუმში დაცული სურათი: ლეკების თავდასხმა 1854 წელს.

ავტორის ფოტოები.

# სხვა გაზეთებიდან

## გაუფრთხილდი საკუთარ ჯანმრთელობას, როგორც საკუთარ... ავტომობილს

სწორედ ასეთი მოწოდებით მიმართა თავის თანამემამულეებს ახლახან კანადის ქალაქ გულფში სამედიცინო კონფერენციაზე სიტყვით გამოსულმა ექიმმა-ფსიქოლოგმა კეტრინ მოროუმ.

„დაუკვირდით, როგორ ვუფრთხილდებით საკუთარ ტრანსპორტს,—ხაზი გაუსვა მოროუმ, — ჩვენ მუდმივად ვაწვდით მას ბენზინს, დროულად ვუწევთ ტექნიკურ მომსახურებას. საკმარისია ძრავა გადახურდეს, უმალ სიჩქარეს ვუკლებთ. განა რომელიმე ადამიანი ეპყრობა თავის ორგანიზმს ასე აკურატულად? ნურას უკაცრავად, პირიქით, მუდმივ ზიანს ვაყენებთ მას და ამით კიდევ უფრო ვირთულებთ ისედაც რთულ და სტრესულ ცხოვრებას“ („პრავდა“, № 157).

## როგორი უნდა იყოს ბულგარეთის იდეალური პრეზიდენტი?

გაზეთმა „ბორბამ“ ბულგარელ სტუდენტებში გაავრცელა ანკეტა ერთადერთი შეკითხვით — „როგორი უნდა იყოს ქვეყნის იდეალური პრეზიდენტი?“

გამოკითხულთა უდიდესმა ნაწილმა კითხვას ასეთი პასუხი გასცა: „გაბედული“; შემდეგ: „პატივცემული“. მესამე ადგილზე კი მოდის პასუხი: „დემოკრატი“. ყველაზე ნაკლები ხმა და მხოლოდ მეათე ადგილი სტუდენტებმა მიანიჭეს... განათლებულ პრეზიდენტს.

## შემაძრწუნებელი პროგნოზი

2000 წლისათვის ტროპიკულ აფრიკაში 15 მილიონი ადამიანი დაიღუპება შიმშილით. — განაცხადა ზიმბაბვეში გამართულ სპეციალურ კონფერენციაზე ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის თავმჯდომარემ მ. შერსონმა. აღნიშნულმა ორგანიზაციამ შიმშილის წინააღმდეგ საბრძოლველად კონტინენტს 200 მილიონი დოლარი გამოუყო („პრავდა“, № 157).

## ვისია ოქროს ვარდი?

თურმე, სილამაზის კონკურსები მარტო მსოფლიოს მომხიბვლელ ქალებს კი არა, ყვავილებს შორისაც იმართება. ვარდებს შორის ასეთი კონკურსი წელს 44-ედ ჩატარდა. საკმაოდ წარმომადგენლობითმა ჟიურიმ, რომელმაც სხდომა ჟენევაში გამართა, „მსოფლიოს ვარდის“ წოდება იტალიელი ვიტორიო ბარნის მიერ გამოყვანილ ყვავილს მიანიჭა. ყვავილის პატრონს გადაეცა პირველი პრიზი — ოქროს ვარდი.

მსოფლიოს ყველაზე ლამაზ ვარდს საკუთარი სახელი აქვს — ვიტორიო ბარნიმ მას თავისი თანამემამულის, მედიცინის დარგში ნობელის პრემიის ლაურეატის რიტა ლევი მონტალენჩინის სახელი უწოდა („ტორგოვაია გაზეტა“, № 79).

## თუ 170 სანტიმეტრზე დაბალი ხარ...

იაპონელი ქალიშვილები ამ ბოლო ხანებში განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებენ მომავალი მეუღლის სიმაღლეს — სწორედ ამ დასკვნამდე მივიდნენ ტოკიოელი სპეციალისტები, რომლებმაც მოსახლეობის სულ სხვადასხვა ფენების გამოკითხვა მოაწყეს. „170 სანტიმეტრზე დაბალი არამც და არამც არ უნდა იყოს!“, ასეთ მოთხოვნას უყენებენ იაპონელი ქალიშვილები თავიანთ მომავალ ცხოვრების თანამგზავრებს, იუწყება ჩეხეთ-სლოვაკიის „ნედელნა პრავდა“.

## მარგარეტ ტეტჩერი სახლს ყიდის

დიდი ბრიტანეთის ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა ლონდონის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში მდებარე სახლის გაყიდვა და დედაქალაქის ცენტრში გადასვლა გადაწყვიტა. სახლის შეძენის მსურველმა ექსპრემიერს 675 ათასი ფუნტი სტერლინგი (1,1 მილიონი დოლარი) უნდა გადაუხადოს („კომსომოლსკაია პრავდა“, № 143).

## სოტკილავა ირჩევს საქართველოს

დიდი თეატრის სოლისტი, სსრკ სახალხო არტისტი ზურაბ სოტკილავა იტალიაში ჯუზეპე ვერდის ტრადიციულ ფესტივალზე მიიწვიეს. მას, მთელ მსოფლიოში ოტელოს პარტიის ერთ-ერთ საუკეთესო შემსრულებლად რომ იცნობენ, უფლება მისცეს იტალიურ სცენაზე „ოტელოს“ დადგმაში პარტნიორებად ნებისმიერი ქვეყნის მომღერლები შეერჩია. და სოტკილავამაც ყველას თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის კოლექტივი არჩია. ვერდის ფესტივალის მთელი ისტორიის მანძილზე, იუწყება „ნეზავისიმაია გაზეტა“ (№ 76), ეს პირველი შემთხვევაა, როდესაც დიდი იტალიელი კომპოზიტორის ოპერის შესრულება არ მიანდეს იტალიურ კოლექტივს.

## თუ ლენინი 25 მანეთს მოგაგებინებს...

სალავატის სახალხო სასამართლომ ლენინის ძეგლის შებილწვისათვის განაჩენი გამოუტანა ორ არასრულწლოვანს, რომელთაც, მოსამართლის მტკიცებით, დანაშაული უკიდურესი ცინიზმით ჩაიდინეს. მაგრამ სახელმწიფო მბრალდებელმა მოზარდების საქციელს სულ სხვა —არქიტექტურული ძეგლის შებილწვის — კვალიფიკაცია მისცა. თავად ბრალდებულები კი აცხადებენ, რომ მათ ლენინის გრანიტის ფიგურა ერთი წამითაც არ გაუიგივებიათ მსოფლიო პროლეტარიატის ბელადის პიროვნებასთან და ძეგლს საღებავი მხოლოდ და მხოლოდ 25 მანეთის მოგების(?!) მიზნით შეასხეს. თუმცა, საბოლოოდ ყმაწვილებმა 25 მანეთის ნაცვლად, 2-2 წელი პირობითი სასჯელი მიიღეს („ტრუდი“, № 147-148).

## მამადუ წყალშიც არ იძირება

გვინეის ჩრდილოეთში, სოფელ გური-დიალოში ცხოვრობს 37 წლის მამადუ დიალო, რომელიც კარგახანია, თანასოფლელების დაცინვის ობიექტად იქცა. ყველაფრის მიზეზი კი მისი უსაშველო სიმაღლე — 2 მეტრი და 60 სანტიმეტრი — გახდა.

მას შემდეგ, რაც რამდენჯერმე სრულიად წარუმატებლად სცადა დაქორწინება და საბოლოოდ დარწმუნდა, რომ ცხოვრების თანამგზავრს ვერ იპოვნიდა, მამადუმ წყალში თავის დახრჩობა გადაწყვიტა. მაგრამ დახეთ უბედურებას — მას აქაც უმუხთლა ბედმა, როგორ ღრმადაც არ შევიდა მდინარეში, მამადუს წყალი მაინც მხოლოდ წელამდე მისწვდა („ტორგოვაია გაზეტა“, № 78).

# განცხადებები

## საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფოსა და სამართლის და ფსიქოლოგიის ინსტიტუტებთან არსებული თბილისის ჰუმანიტარული ინსტიტუტი

**აცხადებს მიღებას 1991-1992 სასწავლო წლისათვის დღის სწავლების შემდეგ ფაკულტეტებზე:**

1. იურიდიული;
2. ფსიქოლოგია-სოციოლოგიის;
3. ეკონომიკის (წარმოების ეკონომიკა და მართვა, საბაზრო ეკონომიკა და ბიზნესი და შრომის ეკონომიკის სპეციალობები).

მისაღებ გამოცდებზე დაიშვებიან საშუალო განათლების მქონე პირები ასაკის მიუხედავად.

ინსტიტუტში აბიტურიენტთა ჩარიცხვა მოხდება საკონკურსო წესით. სწავლა იწარმოებს ქართულ ენაზე.

მისაღები გამოცდები ჩატარდება შემდეგ საგნებში:

I. იურიდიულ ფაკულტეტზე:
1. ქართული ენა და ლიტერატურა (წერა):
2. საქართველოს ისტორია (ზეპირი);
3. სამართალმცოდნეობის საფუძვლები (ზეპირი).

II. ფსიქოლოგია-სოციოლოგიის ფაკულტეტზე:
1. მათემატიკა (ზეპირი);
2. ქართული ენა და ლიტერატურა (წერა);
3. უცხო ენა (ზეპირი).

III. ეკონომიკის (წარმოების ეკონომიკა და მართვა, საბაზრო ეკონომიკა და ბიზნესი და შრომის ეკონომიკის სპეციალობები) ფაკულტეტზე:
1. მათემატიკა (ზეპირი);
2. ქართული ენა და ლიტერატურა (წერა);
3. საქართველოს ისტორია (ზეპირი).

ინსტიტუტში აბიტურიენტები ჩაირიცხებიან მიმღები კომისიის გადაწყვეტილებით, გამოცდაზე დაგროვილ ქულათა რაოდენობის მიხედვით. წერითი და ზეპირი გამოცდების შეფასება განხორციელდება 10-ქულიანი სისტემით, სადაც დადებით შეფასებად ჩაითვლება ქულები 6-დან 10-ის ჩათვლით.

ინსტიტუტში აბიტურიენტთა ჩარიცხვა იწარმოებს საქართველოს რესპუბლიკის განათლების სამინისტროს მიერ დადგენილი წესების შესაბამისად. დანიშნულ დროს გამოცდაზე არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობის ან არადამაკმაყოფილებელი შეფასების მიღების შემთხვევაში აბიტურიენტი შემდეგ გამოცდაზე არ დაიშვება.

ინსტიტუტში სწავლება ფასიანია. სტუდენტის სწავლების საფასური წელიწადში ოთხი ათასი მანეთია.

სწავლების საფასურის გადახდა შეიძლება მოხდეს საწარმოების, ორგანიზაციებისა და სხვა იურიდიული პირების მიერ გადარიცხვის წესით, ან ინდივიდუალურად, ნაღდ ანგარიშზე.

ინსტიტუტში ჩარიცხული აბიტურიენტები ვალდებულნი არიან სწავლების საფასური გადაიხადონ ჩარიცხვის სიების გამოქვეყნებიდან ერთი კვირის განმავლობაში.

თბილისის ჰუმანიტარულ ინსტიტუტში ჩარიცხვის მსურველი სათანადო უნარისა და ცოდნის შესამოწმებლად დაიშვება, თუ გადაიხდის ამ მიზნისთვის დაწესებულ თანხას (50 მანეთი) და განცხადებასთან ერთად წარმოადგენს:

1. საშუალო განათლების დოკუმენტს (დედანი);
2. სამედიცინო ცნობას (ფორმა № 086 უ);
3. ამონაწერს შრომის წიგნაკიდან;
4. ფოტოსურათს (6 ცალი ზომით 3X4);
5. პასპორტს და სამხედრო ბილეთს ან მიწერის მოწმობას პირადად.

საბუთების მიღება წარმოებს 15 ივლისიდან 24 ივლისის ჩათვლით, ყოველდღე, გარდა კვირისა, 11 საათიდან 16 საათამდე.

ინსტიტუტის მისამართია, ქ. თბილისი, ყაზბეგის გამზირი 34-ა, ტელ: 39-59-64. მისაღები გამოცდები დაიწყება 24 ივლისიდან.

## თურქეთში კერძო მიწვევით წამსვლელთა საყურადღებოდ!

კოოპერატივი „ექსპრეს-კ“-ს გადაჰყავს მგზავრები შეღავათიან ფასებში, მარშრუტებით:

— თბილისი-სტამბული, თბილისი-ფაცა-სამსუნი იკარუსის მარკის ავტობუსებით.

— თბილისი-ტრაპიზონი რაფის მარკის მიკროავტობუსებით.

ცნობებისათვის მიმართეთ: კოსტავას ქუჩა 72 (ეზოდან). ტელეფონი: 60-34-60.

აგრეთვე ქუთაისის ფილიალში: დავითაშვილის ქუჩა 15. ტელეფონი: 6-60-05.

## კომპიუტერული ცენტრი „ტერმინალი“ გთავაზობთ:

პერსონალური კომპიუტერების საბეჭდი მოწყობილობების საღებავი ლენტის აღდგენას,

I BM — თავსებადი კომპიუტერებში და საბეჭდ მოწყობილობებში ქართული შრიფტის აპარატულ რეალიზაციას.

ცნობებისათვის დარეკეთ 93-00-39.

## აბიტურიენტთა საყურადღებოდ!

დავით აღმაშენებლის სახელობის თბილისის კომერციული საინჟინრო-ეკონომიკური ინსტიტუტი აბიტურიენტებისა და იმ საწარმოთა ხელმძღვანელების საყურადღებოდ, რომლებსაც განზრახული აქვთ დაკვეთის წესით მოავლინონ აბიტურიენტები, ვაცხადებთ რომ 5 ივლისს ინსტიტუტში გამართულ „ღია კარის“ მონაწილე. აბიტურიენტთა და მშობელთა თხოვნის, ასევე საქართველოს რესპუბლიკის განათლების სამინისტროს მიერ უმაღლეს სასწავლებლებზე საბუთების მიღების, აგრეთვე გამოცდების (გასაუბრების) ერთდროულად ჩატარების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების გათვალისწინებით მიმღებმა კომისიამ გადაწყვიტა:

— აბიტურიენტთა საბუთების მიღება შეწყდეს ა. წ. 18 ივლისს;

— აბიტურიენტებთან წერითი და ზეპირი გასაუბრება ჩატარდეს ა. წ. 22 ივლისიდან 28 ივლისამდე;

— აბიტურიენტთა სტუდენტად ჩარიცხვასთან დაკავშირებული სამუშაოები დამთავრდეს 31 ივლისამდე და ჩარიცხულთა სია გამოქვეყნდეს 1 აგვისტოს;

რექტორის გადაწყვეტილებით ინსტიტუტში სწავლა დაიწყება ა. წ. 1 ოქტომბერს, ინსტიტუტისათვის საჭირო ტექნიკური ბაზით აღჭურვილ შენობაში.

მისამართი: ჯიქიას ქ. № 3.

**რექტორატი**

---

საქართველოს მოიჯარეთა, აქციონერთა და თავისუფალ მეწარმეთა კავშირი გაცნობებთ, რომ იყიდება მარმარილოსებური კირქვის მოკრიალებული ფილები 1500 $м^2$ ოდენობით. წლის ბოლომდე დამზადებული იქნება კიდევ 1000 $м^2$. ფილა წარმოადგენს საუკეთესო საშუალებას კედლების, სარდაფების, იატაკების, საბაღე ბილიკების, აუზების, კიბეების და სხვათა მოსაპირკეთებლად.

კავშირს ესაჭიროება აგრეთვე საყოფაცხოვრებო დანიშნულების ორი ელექტრული ტუმბო, რისთვისაც მზად ვართ გადავიხადოთ ფასდანამატი.

ცნობებისათვის დარეკეთ შემდეგ ტელეფონებზე: 96-36-41, 96-36-50.

## ქ. თბილისის მრავალდარგოვანი პროფესიული სასწავლებელი

**აცხადებს მოსწავლეთა მიღებას 1991-92 სასწავლო წლისათვის.**

ახალგაზრდებო!

თავისუფალ, დამოუკიდებელ საქართველოს უმაღლესი და საშუალო-სპეციალური განათლების მქონე ინჟინერ-ტექნიკოსთა გარდა აუცილებლად ესაჭიროება სხვა კატეგორიის უმაღლესი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტთა კადრები, რომელთა საშუალებითაც უნდა მოხდეს ჩვენი სახალხო მეურნეობის ძირეული გარდაქმნა და დამოუკიდებლად გასვლა საერთაშორისო ბაზარზე.

ჩვენი სასწავლებელი მზადაა აღმოგიჩინოთ დახმარება და გთავაზობთ 10 თვის მანძილზე დაეუფლოთ შემდეგ პროფესიებს:

1. ელექტრო-შემდუღებელი;
2. ზეინკალ ელექტრომემონტაჟე;
3. ზეინკალ სანტექნიკოს აერშემდუღებელი;
4. ავტომატური კონტროლის რეგულირებისა და მართვის ხელსაწყოების აპარატურის მემონტაჟე.
5. ზეინკალ ავტოშემკეთებელი;
6. რადიოაპარატურისა და ხელსაწყოების მარეგულირებელი;
7. არასასურსათო საქონლის მოლარე კონტროლიორი;
8. მეყვავილე-დეკორატორი;
9. მხაზველი.

სასწავლებელში მიიღებიან საშუალო განათლებისა და 9 კლასდამთავრებული ორივე სქესის ახალგაზრდები.

რაიონიდან ჩამოსული ახალგაზრდები მიიღებიან მხოლოდ წარმოება დაწესებულებისა და საკრებულოების მომართვის საფუძველზე.

სწავლის პერიოდში მოსწავლეებს მიეცემათ სტიპენდია კომპენსაციით 70 მანეთის ოდენობით და სასწავლო-საწარმოო პრაქტიკის პერიოდში გამომუშავებული თანხის 50 პროცენტი.

მსურველებმა განცხადება უნდა შემოიტანონ დირექტორის სახელზე შემდეგი საბუთების თანდართვით:

1. საშუალო განათლების ატესტატი (დედანი);
2. 9 კლასის განათლების ატესტატი (დედანი);
3. დაბადების მოწმობა (დედანი);
4. სამედიცინო ცნობა (ფორმა № 286),
5. დახასიათება;
6. ავტობიოგრაფია;
7. 6 ცალი ფოტოსურათი (3X4-ზე);

პასპორტი, სამხედრო ბილეთი ან მიწერის მოწმობა წარმოდგენილი უნდა იქნეს პირადად.

სწავლება დაიწყება 1-ელ სექტემბერს.

სასწავლებლის მისამართია: ქ. თბილისი, მაგნიტოგორსკის ქ. № 2-ა; მეტრო დიდუბის მიმდებარე ტერიტორია.

ტელეფონები: 34-72-59, 34-71-29, 34-79-48.

**დირექცია**

განცხადებები

# აღორძინება არგო

გვერდის სპონსორები არიან საქველმოქმედო ასოციაცია „აღორძინება“ და ამავე ასოციაციის ფირმა „არგო“.


ეროვნული ბიბლიოთეკა

**მამისონი**
**AMISONY ®**

საქართველოს რესპუბლიკური საწარმოო ასოციაცია „კომპლექსი“-ს ფირმა **„მამისონი“** გიწვევთ ა.წ. 15 სექტემბრიდან უმაღლესი კომერციული ინგლისურის შესასწავლად. სახელმძღვანელო შესაბამისი ტერმინოლოგიის და სიტყვების ინგლისურ-ქართულ-რუსული განმარტებითი ლექსიკონით მსმენელებს გადაეცემათ სწავლის დაწყების წინ.

გადაჭარბების გარეშე შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში დღესდღეობით მხოლოდ ჩვენთან შეგიძლიათ დაეუფლოთ უმაღლეს საერთაშორისო დონეზე კონტაქტების შედგენის, მოლაპარაკების, საქმიანი მიმოწერის, პრეტენზიების, საქონლის მიწოდების და ბიზნესისათვის საჭირო სხვა აუცილებელ დეტალებს..

ვიწვევთ მსმენელებს რომლებიც კითხულობენ და თარგმნიან ინგლისურად ლექსიკონის დახმარებით. სწავლების ხანგრძლივობა 8 თვეა. მეცადინეობის განრიგი შეირჩევა თქვენთან შეთანხმებით. სწავლის ღირებულებაა 3920 მანეთი. უცხოელთათვის 2960 ამერიკული დოლარი ყველა ხარჯის ჩათვლით საქართველოში. თანხის გადახდა შეიძლება როგორც გადარიცხვით, ასევე პირადად. განცხადებები მიიღება ა.წ. 1 აგვისტომდე.

**ჩვე[illegible] ანგარიშია №000468005 კომერციული ბანკი „თბილისი“, ანგარიში №000-61 307, კოდი 521 006, სახელმწიფო ბანკის საოპერაციო სამმართველო.**

გელით! [illegible]ეთილი იყოს თქვენი მობრძანება!

გჯეროდე[illegible] ჩვენი კურსდამთავრებული სპეციალისტი გარანტიაა თქვენი მომავალი წარმატებ[illegible] [illegible]ი ურთიერთობისა საზღვარგარეთის ფირმებთან.

**და[illegible] [illegible]ილებითი ცნობებისათვის დარეკეთ ტელეფონებით:**

**95-93-72; 95-23-72.**

**მისამართი: ართვინის ქ. №53 (საბჭოს მოედნიდან ასახვევი ხელმარჯვნივ. ავტობუსი №29 ყოფილ კოლმეურნეთა მოედნიდ[illegible]).**

სარეკლამო-სააგენტო
„არგო-ბლიკი“

---

## გილოცავთ, თქვენ ორსულად ხართ!

სამედიცინო კოოპერატივი „დასტაქარი“ გთავაზობთ ორსულობის დადგენას საწყის ეტაპზე.

მხოლოდ ჩვენთან, კოოპერატივ „დასტაქარში“, შარდის ჩაბარებიდან 4 საათში შეგიძლიათ მიიღოთ უტყუარი პასუხი. დიაგნოსტიკა ხორციელდება იმუნოფერმენტული ანალიზით, საერთაშორისო კლასის პრეპარატების გამოყენებით. მეთოდის მაღალი მგრძნობელობა და სპეციფიურობა საშუალებას იძლევა ფეხმძიმობა დადგინდეს იმ ეტაპზე, როცა სხვა ტესტებით მისი დიაგნოსცირება შეუძლებელია.

გარდა ამისა ლაბორატორია გთავაზობთ ტოქსოპლაზმოზის, ციტომეგალოვირუსული ინფექციის, ქლამიდოზის, წითურას და სხვათა დიაგნოსტიკას. აღნიშნულ ინფექციათა გამომწვევები, გადადიან რა დედიდან მუცლადმყოფ ნაყოფზე, ხშირად იწვევენ თავისთავად აბორტებს, უშვილობას ან ახალშობილთა განვითარების სხვადასხვა მანკს.

**ჩვენი მისამართია: ვაჟა-ფშაველას 27, რესპუბლიკური საავადმყოფოს ბალნეოლოგიური განყოფილება.**
**კოოპერატივი „დასტაქარი“**
სამუშაო საათები: 10-დან 19 სთ-მდე, შაბათს 12 სთ-მდე
დასვენების დღე კვირა ტელ. 39-57-63

---

ფირმა **„პრიზმა“** გთავაზობთ კომფორტაბელური ავტობუსებით გადაყვანას თურქეთში ტრაპიზონსა და სტამბულში, მათთვის ვისაც აქვთ კერძო მოწვევები თურქეთის რესპუბლიკიდან.

ჩვენი მომსახურეობის ხარისხი ბევრად მაღალია, თუმცა ფასი სხვებთან შედარებით ბევრად ნაკლები. მისადგომად ხელსაყრელ ადგილას მდებარეობს.

უახლოეს დღეებში შემოგთავაზებთ აგრეთვე საბერძნეთში ავტობუსით გადაყვანას თურქეთის გავლით.

მისამართი: **გამსახურდიას გამზირი №3/7. ტელეფონი: 36-77-72.**
ვმუშაობთ ყოველდღე $11^{00}$ საათიდან $18^{00}$ საათამდე.
დასვენების დღე ორშაბათი.

---

ვ ც ვ ლ ი

4 და 5 ოთახიან ინდივიდუალურ მშენებარე ბინებს ვაჟა-ფშაველას გამზირზე (ძეგლთან) 4, 3 ან 2 ოთახიან ბინებზე.

დარეკეთ 38-77-19.

---

**მსურს ვიყიდო ერთოთახიანი ან ოთახნახევრიანი იზოლირებული ბინა ქალაქის ცენტრალურ რაიონებში (საბურთალო, დიღმის მასივი და ა.შ.), სასურველია ტელეფონით.**

**დარეკეთ ტელეფონზე: 37-58-25 დასვენების დღეების გარდა ($10^{00}$სთ-დან $18^{00}$სთ-მდე).**

---

სამეცნიერო-საწარმოო კოოპერატივი **„სამება- 2000“** საწარმოებს, ორგანიზაციებს, კოოპერატივებს და კერძო პირებს სთავაზობს შესაძენად:

1. იაპონური წარმოების **„РИКОХ М-100“** ტიპის გასამრავლებელ დანადგარს. დანადგარის წარმადობაა 500 ცალი საათში.
2. ავტომანქანა გაზ-24 (6 წლის).

მისამართი: თბილისი ულიანოვის პი[illegible]ველი შეს. №16ª

ტელეფონი: 62-18-40 დღის პირველ ნახევარში.

---

კოოპერატივი „სავანე“ ღებულობს შეკვეთებს საბეჭდი სამუშაოების შესასრულებლად ქართულ და რუსულ ენაზე.

მიღება ყოველდღე $10^{00}$ საათიდან $15^{00}$ საათამდე, გარდა შაბათ-კვირისა.

მისამართი: **ბუდაპეშტის ქუჩა № 1, კოოპერატივი „სავანე“**

---

ფირმა **„კომპი“** სთავაზობს იურიდიულ პირებს, რომლებიც ითვლებიან სატელეგრაფო სააბონენტო **AT**-50 და მონაცემთა გადაცემის **PD**-200 ქსელების (სატელეტაიპო) აბონენტებად, თანამედროვეობის შესაბამის, ავტომატური გამოძახების ინტელექტუალურ ხელსაწყოს (სატელექსო ადაპტერი) **VDN** 52550. იგი უზრუნველყოფს მასში შემავალი და გამომავალი გამოძახებების ავტომატურ დამუშავებას.

ხელსაწყო იძლევა საშუალებას გამორიცხოთ თქვენი სამუშაო პრაქტიკიდან ყოველგვარი სატელეტაიპო აპარატი და მის მაგივრად გამოიყენოთ თქვენს ხელთ არსებული **PC AT/XT** ტიპის კომპიუტერი ან **V.24/V.28** რეკომენდაციის დისპლეი. მასში გათვალისწინებულია მიმდევრობითი საბეჭდი მოწყობილობის შეერთება მომლოდინე რეჟიმში შეტყობინებების მისაღებად, როდესაც გამორთულია კომპიუტერი. ხელსაწყოს გააჩნია თვითტესტირების რეჟიმი.

ფირმა **„კომპი“** უზრუნველყოფს ხელსაწყოს მიწოდებას სპეციალიზირებული რედაქტორით.

**გთხოვთ მოგვმართოთ ტელეფონებზე:**

**99-79-08 და 39-29-14.**

---

**მსურს ვიქირავო**

ერთოთახიანი ან ოთახნახევრიანი იზოლირებული ბინა ქალაქის ცენტრში. სასურველია ტელეფონით.

დარეკეთ: 37-58-25.

---

იყიდება მიკროავტობუსი „ტოიოტა-ჰაის“, წლინახევრის, ოთხცილინდრიანი ძრავით, 100 კმ-ზე ხარჯავს 10 ლ. ბენზინს; 6 ადგილიანი, სატვირთო ნაწილით. სალონი კეთილმოწყობილია, აღჭურვილია კონდენციონერებით, თეთრი ფერის, ფასი 170000 მანეთი.

მსურველებმა დარეკეთ ტელეფონზე: 37-58-25.

მისამართი: ბუდაპეშტის 1.

---


ახალგაზრდა ივერიელი
Общественно-политическая газета

ტელეფონები: მიხალები — 98-97-31;
პასუხისმგებელი მდივანი — 98-81-56;
წერილების განყოფილება — 99-00-49.

გაზეთი გამოდის კვირაში ხამჯერ სამშაბათს, ხუთშაბათს, შაბათს.
რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს უკან არ უბრუნდებათ.

რედაქტორი
მერაბ ბალარჯიშვილი

საქართველოს ჟურნალ-გაზეთების გამომცემლობა „სამშობლოს“ სტამბა თბილისი, მ. კოსტავას 14, იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში ხოშარაულის 29.
1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 9, 10, 11, 12, 13, 14, 15.
НАШ ИНДЕКС 66400

რედაქციის მისამართია
ქ. თბილისი — 380096
მ. კოსტავას ქ. № 14.